140/1952/3

ქართული

3
1952

პ ი ო ნ ე რ ი

№ 3 მარტი 1952

საბლიტგამი

წელიწადი XXVI

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



გაჯაფხული

ფოტოეტიუდი ვ. რუსეცკისა

8(05)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ი კ ო ლ ო ზ გ ო გ ო ლ ი

(გარდაცვალებიდან 100 წლისთავი)

დიდი რუსი ერის საამაყო ადამიანთა შორის ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მხატვრული სიტყვის გენიალურ ოსტატს ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლს.

არც სიცოცხლეში და არც გარდაცვალების შემდეგ უკვდავი მწერლის სახელს არასოდეს არ ღირსებია ისეთი პატივისცემა და დაფასება, როგორც სტალინურ ეპოქაში.

რუსული ლიტერატურის სხვა ბუმბერაზებთან ერთად, გოგოლმა თავისი შემოქმედებით უდიდესი წვლილი შეიტანა მშობლიური კულტურის განვითარებასა და მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებაში.

გოგოლმა, პუშკინთან, ლერმონტოვთან და ბელინსკისთან ერთად, ნიადაგი მოუმზადა განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც დიდი რუსი ხალხის მეთაურობით ათეული წლების მანძილზე აღვიძებდა და ბრძოლებისათვის რაზმავდა რუსეთის იმპერიაში შემავალ ჩაგრულ ერებს.

თავისი მახვილი კალმით გოგოლი ცარიზმის უმკაცრეს ეპოქაში ადიდებდა თავისუფლებას და მილიონობით ადამიანს უნერგავდა უკეთესი მომავლისადმი მტკიცე რწმენას.

დიდი კლასიკოსის თხზულებებში ჩაქსოვილია უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, სლავი ხალხებისადმი და მთელი კაცობრიობისადმი.

გოგოლმა, გენიალურ პუშკინთან ერთად, გაამდიდრა და გაამშვენიერა რუსული სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურო ენა, რომელიც დღეს ერთ-ერთი უმდიდრესი და უპირველესი ენათა-განია მსოფლიოში.

* * *

რუსული ლიტერატურის მშვენება ნ. გოგოლი დაიბადა 1809 წელს უკრაინაში, მირგოროდის მხრის ერთ-ერთ მივარდნილ კუთხეში — სოროჩინში. მწერლის მამა ვასილ ათანასეს ძე წვრილი მემამულე იყო და თავისი დროისთვის საკმაოდ განათლებული. ის ზედმიწევნით იცნობდა უკრაინულ ხალხურ პოეზიას, უყვარდა თეატრი და თითონაც წერდა პატარ-პატარა საყოფაცხოვრებო კომედიებს. სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნაპოლეონის ურდოების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში 1812 წელს.

გოგოლის დედა მეტად კეთილი გულის ადამიანი იყო. მისი სიცოცხლის უპირველეს დანიშნულებას შვილების წესიერად აღზრდა შეადგენდა.

მცირე შინაური მომზადების შემდეგ პატარა გოგოლი მშობლებმა 1819 წელს პოლტავის სამაზრო სასწავლებელში მიაბარეს, საიდანაც 1821 წელს ნეჟინის ლიცეუმში, ანუ იმხანად წოდებულ „უმაღლეს მეცნიერებათა გიმნაზიაში“ გადაიყვანეს. საფუძვლიანი განათლების მიღებას მოწყურებული გოგოლი ყოველთვის უკმაყოფილებას გამოთქვამდა გიმნაზიაში გამეფებული დესპოტური რეჟიმისა და სწავლების სქოლასტიკური ხასიათის გამო. იგი დაუცხრომელი თვითგანვითარების გზით აფართოებდა თავის ცოდნას და აღმზრდელ მასწავლებლებზე უკმაყოფილო ამბობდა: „თუ რამე ვისწავლე, მე თვითონვე“.

ახალგაზრდა გოგოლის პოეტური ნიჭის გაფურჩქვნას დიდად შეუწყო ხელი ხელნაწერმა ალმანახმა, რომელიც გიმნაზიაში მისი აქტიური მონაწილეობით გამოდიოდა. აღსანიშნავია, რომ მისმა შესანიშნავმა არტისტულმა ტალანტმაც აქვე მიიქცია ყურადღება. გოგოლში თავიდანვე გაიღვიძა სამშობლოსადმი ვალდებულების მაღალმა გრძნობამ „მე თავს შევფიცე ხანმოკლე სიცოცხლის არცერთი წუთიც არ დავკარგო უმიზნოდ... ჩემი იდეალია რაიმე საყურადღებო გავაკეთო სამშობლოს საკეთილდღეოდ, მის სადიდებლად“ — წერდა იგი დედას.

ნეჟინის გიმნაზიის მერხზე მოესმა გოგოლს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის ხმა, რომელიც 1825 წელს სენატის მოედანზე გაისმა მეამბოხე დეკაბრისტებისაგან. თავისუფლებისათვის მებრძოლ რაინდებს, რომელთა საქმეს დიდი-ლენინის შეფასებით ამაოდ არ ეფუძნებოდა ყოველთვის მოწიწებით იხსენებდა გოგოლი.

* * *

1828 წელს გოგოლმა წარმატებით დაამთავრა გიმნაზია და გამოეთხოვა რა ნეჟინს, მთელი გატაცებით დაიწყო მზადება ლიტერატურული მოღვაწეობისათვის. ამ მიზნით იგი გადასახლდა იმდროინდელ კულტურის ცენტრში — პეტერბურგში, სადაც გაეცნო და დაუახლოვდა რუსული მწერლობის უდიდეს წარმომადგენლებს.

რამდენადაც დიდი იყო გოგოლის აღტაცება პეტერბურგის ხილვით, იმდენად მძიმე და გულსაკლავი სურათი გადაიშალა მის წინ.

ნიკოლოზ I სისხლიანი რეჟიმი საშინელ ტვირთად აწვა მთელ რუსეთს. მეფის ბიუროკრატიული აპარატი მკაცრად უსწორდებოდა ყოველივე ახალსა და პროგრესულს, ახშობდა ხალხის ლტოლვას სწავლა-განათლებისადმი. ყველგან და ყველაფერში გამეფებული იყო ძალმომრეობა და მონური მორჩილება.

მიუხედავად ასეთი ჟანდარმული პირობებისა, საზოგადოების მოწინავე ნაწილი მედგარი და შეუპოვარი ბრძოლებისათვის ემზადებოდა. რუსეთის გამოჩენილმა ადამიანებმა გასული საუკუნის 30-40-იან წლებში ბელინსკის, გერცენის, სტანკევიჩის, ოგარიოვისა და სხვათა მეთაურობით გაბედულად დააყენეს საკითხი რუსი ხალხის მომავლის შესახებ, თვითმპყრობელობიდან მისი განთავისუფლების შესახებ.

ჩაადაევმა თავის ცნობილ „ფილოსოფიურ წერილებში“ ულმობლად ამხილა ის შინაგანი იარები, რომლებიც იმდროინდელ რუსეთს ღრღნიდა და აუძლურებდა.

არ შეიძლებოდა ყოველივე ამას თავიდანვე არ მიექცია გოგოლის ფხიზელი ყურადღება და მასში თვითმპყრობელობისადმი საწინააღმდეგო თვალსაზრისი არ გამოემუშავებინა.

1829 წელს გოგოლმა ალოვის ფსევდონიმით გამოაქვეყნა ლექსად დაწერილი იდილია „განც კუხელგარტენ“. ამ რომანტიკულ პოემას ლიტერატურულ წრეებში არავითარი გამოხმაურება არ გამოუწვევია. ამით შეურაცხყოფილმა ავტორმა დატოვა პეტერბურგი და საზღვარგარეთ წავიდა. მაგრამ სამშობლოსადმი დიდი სიყვარული არ ასვენებდა მწერალს და მალე უკან დაბრუნდა.

გოგოლი გულს არ იტეხს და შეუპოვრად ემზადება ლიტერატურული დიდებისათვის.

მის ასეთ მისწრაფებას კიდევ უფრო აძლიერებს გაცნობა და დაახლოება რუსუ-

ნ. ვ. გოგოლის ძეგლი. გაიხსნა 1952 წ. 2 მარტს მოსკოვში, გოგოლის სახელობის ხეივანში.

ლი მწერლობის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, როგორიც იყვნენ ჟუკოვსკი და პუშკინი.

1831-32 წლებში ორ ნაწილად გამოქვეყნდა გოგოლის მოთხრობების კრებული „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში“. ეს მოთხრობები, რომელთა მრავალფეროვანი თემატიკაც უკრაინელი ხალხის ყოფაცხოვრებიდანაა აღებული, დაწერილი იყო იშვიათი ორიგინალობითა და მხატვრული ძალით. ნამდვილმა რეალიზმმა, დაკვირვების გასაოცარმა ნიჭმა, გამგმირავმა იუმორმა და სადა ენამ იმდენად მოხიბლა თვით პუშკინიც, რომ გენიალური პოეტი აღფრთოვანებული ულოცავდა ავტორს გამარჯვებას, ხოლო მკითხველს — საუკეთესო საჩუქარს.

გოგოლის სახელი კიდევ უფრო პოპულარული გახდა, როდესაც გამოქვეყნდა მისი მოთხრობების მეორე კრებული „მირგოროდის“ სახელწოდებით. მოთხრობების ამ ციკლიდან ყველაზე შესანიშნავია „ძველი დროის მემამულენი“, „ამბავი იმისა, თუ რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“ და ბოლოს ისტორიული მოთხრობა „ტარას ბულბა“.

პირველ ორ მოთხრობაში მწერალმა რეალიზმის ძალით გადაგვიშალა პროვინციის მემამულეთა უფერული და უშინაარსო ყოფაცხოვრება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ტარას ბულბა“, ისტორიული შინაარსის მოთხრობა უკრაინის გმირული წარსულიდან. მასში ასახულია კაზაკების გამათავისუფლებელი ბრძოლა პოლონელი პანების წინააღმდეგ.

* * *

პეტერბურგში შვიდ წელს ცხოვრებამ გოგოლის ფხიზელ გონებას მდიდარი მასალა მისცა მეფის ბიუროკრატული აპარატის მრავალრიცხოვან მოხელეთა ცხოვრებიდან. გამოფიტული ინტელიგენციისა და კანცელარიის ჩინოვნიკთა პაწაწინა იდეალები მწერალმა მოხდენილი სარკაზმით გადაგვიშალა მოთხრობაში „შინელი“.

კანცელარიის გონებაშეზღუდული მოხელე აკაკი აკაკის ძე ბაშმაჩკინი, რომელიც თავისი ცხოვრების შინაარსს მხოლოდ ასოების ლამაზად გამოყვანაში ხედავდა, ახალი შინელის შეძენამ თითქოს სიცოცხლის ფერხულში ჩაბა. მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე და მოჩვენებითი გამოდგა. ბაშმაჩკინს ნანატრი შინელი მძარცვე-

ლებმა წაართვეს და საბრალო მოხელეც ამ უბედურებამ გადაიყოლა.

ამ ოსტატურად დაწერილი მოთხრობის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ გამოჩენილი მწერალი დოსტოევსკი სიამაყით აღნიშნავდა: „ჩვენ ყველანი გოგოლის „შინელიდან გამოვედით".

1836 წელს დაიბეჭდა და სცენაზე დაიდგა გოგოლის გენიალური კომედია „რევიზორი". ამ პიესაში საზოგადოებამ ნათლად დაინახა ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი, მთელი მისი გახრწნილი ბიუროკრატიული აპარატი.



მოსკოვის მცირე თეატრი, რომლის სცენაზე 1836 წელს პირველად დაიდგა ნ. ვ. გოგოლის კომედია „რევიზორი".

დიდმა რეალისტმა მწერალმა თავისი ულმობელი სიტყვით ნიღაბი ჩამოჰგლიჯა თვითმპყრობელობის სოციალ-პოლიტიკურ სისტემას და საქვეყნოდ გააშიშვლა მისი სამაგელი არსება. უხეში თავგასულობის, მექრთამეობის, უვიცობისა და პირადი ანგარების წუმპეში არიან ჩაფლული თითქმის ყველა დაწესებულების ხელმძღვანელები.

კომედიამ განსაკუთრებით მოხიბლა ახალგაზრდობა და არსებული ყოფისადმი გაბედული ბრძოლის სურვილები გაუღვიძა მას.

ცხადია, უმაყოფილო დარჩებოდა საზოგადოების რეაქციული ნაწილი, რომლის წარმომადგენლებმაც ბულგარინმა და სენკოვსკიმ პიესის ავტორს ცილისმწამებლური წერილები მიუძღვნეს. მაგრამ პროგრესული რუსეთი ყურს უგდებდა თავის უდიდეს კრიტიკოსს ბელინსკის, რომელმაც „რევიზორი" გენიალურ ქმნილებათა გვერდით დააყენა.

* * *

გოგოლის მგრძნობიარე არსებაზე მეტად მძიმე გავლენა იქონია რეაქციული წრეების მზარდმა უკმაყოფილებამ, რამაც იძულებული გახადა იგი დროებით დაეტოვებინა რუსეთი. „რევიზორის" გამო დევნილი მწერალი გამოჩენილ მსახიობს შჩეპკინს სწერდა: „საკმაოა მცირეოდენი ნიშნები სიმართლისა, რომ ყველა შენ წინააღმდეგ აღდგეს".

გოგოლმა რამდენიმე წლის შემდეგ რუს ხალხს შესძინა კიდევ ერთი უკვდავი ნაწარმოები. მიუხედავად მკაცრი საცენზურო პირობებისა, 1842 წელს დაიბეჭდა „მკვდარი სულები". აღსანიშნავია, რომ ამ ნაწარმოების სიუჟეტი მწერალს პუშკინმა მისცა. მასში გოგოლის რეალიზმმა უმაღლეს წერტილს, ხოლო თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის დაუზოგავმა მხილებამ არაჩვეულებრივ გამბედაობას მიაღწია. მკვდარი სულების მრავალფეროვან გალერეაში განსაკუთრებული ტიპობრიობითაა გამოკვეთილი მემამულე ჩიჩიკოვის, სობაკევიჩის, პლუშკინის, კორობოჩკას, ნოზდრევისა და მეოცნებე მანილოვის სახეები. არცერთ მათგანს არ გააჩნია ჯანსაღი და მორალურად მაღალი ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ეს მართლაც ნახევრად პირუტყვები გონებაშეზღუდულობის, უსაქმურობის, ხარბი ეგოიზმისა და უნაყოფო ოცნების გამო ჭაობში იხრჩობიან და განწირული არიან დასაღუპავად.

გოგოლს გულს უკლავს ის გარემოება, რომ ასეთი მკვდარი სულები ამძიმებენ რუსეთის მიწას, მაგრამ ამავე დროს არ სცილდება რწმენა, რომ ისტორიის განაჩენი მათაც თავისას მიუზღავს.

როდესაც ბელინსკიმ „მკვდარი სულები" წაიკითხა, პუშკინისა და ლერმონტოვის სიკვდილით უიმედობაში ჩავარდნილ საზოგადოებას გოგოლის სახით რუსეთის ლიტერატურულ ცაზე ახალი მზის ამობრწყინება ახარა.

რეაქციული წრეების ახალმა შემოტევამ მწერალი იძულებული გახადა რუსეთიდან კვლავ საზღვარგარეთ წასულიყო და იქ გაეგრძელებინა მუშაობა „მკვდარი სულების" II ტომზე.

* * *

გოგოლის ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფმა მწერალმა ვერ შეძლო „მკვდარი სულების" II ტომის დამთავრება.

1848 წელს მწერალი ოდესაზე გავლით რუსეთში ბრუნდება და კვლავ ლიტერატურულ მუშაობას განაგრძობს. ერთი წლის შემდეგ მეგობართა წრეში „მკვდარი სულების" II ტომის განახლებულ ვარიანტს კითხულობს. მასში ავტორმა მისთვის ჩვეული მხატვრული ძალით ასახა გმირი რუსი ხალხის პატრიოტული თავდადება 1812

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის სამამულო ომში. გოგოლს მტკიცედ სწამდა, რომ რუსი ერის გიგანტური ენერგია ოდესმე მთელი ძალით გაიფურჩქნებოდა და კაცობრიობისათვის გზის მიმცემი გახდებოდა.

1851 წლის გაზაფხულზე უკვე საგრძნობლად დაავადებულმა გოგოლმა უკანასკნელად იხახულა სოფელი ვასილევკა, სადაც მან გაატარა ბავშვობის დაუვიწყარი წლები. მწერლის და, ოლღა, იგონებს, რომ ამ ხანებში მისი საამაყო ძმა სავსებით გამოცვლილი იყო. სიკვდილის მოახლოებას თვით მწერალიც გრძნობდა: „მე ვდნები არა დღეობითა და თვეობით, არამედ საათობით", — სწერდა ის პოეტ ვიაზემსკის.

1852 წლის 4 მარტს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გოგოლი გარდაიცვალა.

გოგოლის დასაფლავება თავისუფლებისმოყვარე ხალხების დემონსტრაციად იქცა. მის კუბოსთან შესანიშნავი სიტყვები წარმოითქვა, რომლითაც რუსეთის კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები ეთხოვებოდნენ გენიალურ მწერალს.

* * *

ქართველი ხალხი ყოველთვის დიდი ინტერესით სწავლობდა, და ეუფლებოდა რუსი ხალხის მდიდარ კულტურას, კერძოდ ნ. გოგოლის მხატვრულ შემოქმედებას. ცნობილია, რომ უკვდავი მწერლის შედევრები ჯერ კიდევ რევოლუციამდე ითარგმნებოდა ქართულ ენაზე, ხოლო კომედია „რევიზორი" იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

ამქამად გოგოლის თითქმის ყველა თვალსაჩინო ნაწარმოები თარგმნილია ქართულად.

გოგოლის მხატვრული მემკვიდრეობა ძვირფას განძს წარმოადგენს რუსეთის ლიტერატურის ისტორიაში, საერთოდ კაცობრიობის ისტორიაში.

გენიალურმა მწერალმა რეალიზმის უდიდესი ძალით გადაგვიშალა რუსი ხალხის ძძიმე წარსული და ამავე დროს მაღალი ოპტიმიზმით გვაუწყა მისი ბრწყინვალე მომავალი. მან, როგორც უდიდესმა რეალისტმა, ყოველგვარი უიდეობისა და ფორმალიზმის დაუზოგავმა გამკიცხავმა, ნიადაგი მოუმზადა რუსული ლიტერატურის იმ ბუმბერაზებს, რომლებმაც თავის ერს დიდება და სახელი მოუხვეჭეს.

სამშობლოსადმი სიყვარულის დიადი გრძნობით, ჩაგრულთადმი ჰუმანიზმით, ხალხურობით, ყოველგვარ მანკიერებათა მხილებით, უკეთესისადმი დაუცხრომელი მისწრაფებით უკვდავი მწერალი დღესაც ეხმაურება კომუნიზმის საუკუნეს.

გოგოლის ულმობელი სარკაზმი მუშათა კლასის მტრების გამგმირავ მახვილად გვევლინება გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის შრომებში.

როცა ლენინი ნაროდნიკებს, მენშევიკებსა და კადეტებს ამათრახებდა, ხშირად მოიმარჯვებდა ხოლმე დიდი მწერლის სატირულ გამოთქმებსა და სახეებს. ამ უიდეო პარტიების პოლიტიკურ გზააბნეულობას, გახრწნასა და გადაგვარებას ლენინი მანილოვისებურ თვისებებს უკავშირებდა.

ასევე მოხდენილად იყენებს გოგოლის უკვდავ სახეებსა და გამოთქმებს დიდი სტალინი. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ხალხთა ბელადმა მიწასთან გაასწორა სოციალიზმისა და დემოკრატიის მტრები, საზღვარგარეთელი კრიტიკოსები, რომელნიც თავის მსჯელობაში ვერ გასცილებიან „მკვდარი სულების" გმირთა შეზღუდულ თვალსაზრისს.

საბჭოთა ხალხი და მისი მომავლის საიმედო დასაყრდენი — ახალგაზრდობა ყოველთვის სიამაყით წარმოთქვამენ დიდი კლასიკოსის ნ. გოგოლის სახელს.

სიმონ სხირტლაძე



სახლი მოსკოვში, სადაც ცხოვრობდა **ნ. ვ. გოგოლი** 1848-49, 1849-1850 და 1851 წ. წ. ზამთარში და აქვე გარდაიცვალა 1852 წლის 12 თებერვალს (4 მარტს ახალი სტილით).

ნ. ვ. გოგოლის მოთხრობა „ტარას ბულბას“ ილუსტრაცია.

მხატვარი ა. ა. კიბრიკი

* * *

„ეი არის ახლა წავიკითხე „საღამოები დიკანკის მახლობლად“. გაოცებული ვარ. აი ნამდვილი მხიარულება, გულწრფელი, ძალდაუტანებელი, მანჭვა-გრეხას, გაბღენძვას მოკლებული. ადგილ-ადგილ კი რა პოეზიაა! რა მგრძნობიარება!“

ა. პუშკინი

* * *

„უდიდესი იყო გოგოლის გავლენა რუსულ ლიტერატურაზე. მის მიერ ნაჩვენები გზით არა მარტო ყველა ახალგაზრდა ტალანტი გაეშურა, არამედ ზოგიერთი უკვე სახელმოხვეჭილი მწერალიც გაჰყვა ამავე გზას, მიატოვა რა თავისი ძველი გზა“.

ბ. ბელინსკი

* * *

„გოგოლი დანამდვილებით მიჩნეულ უნდა იქნას რუსული ლიტერატურის ახალი, რეალური მიმდინარეობის ფუძემდებლად; .მას უკავშირდება, ნებსით თუ უნებლიეთ, მომდევნო ხანის ყველა მწერალი, იმის მიუხედავად, თუ რა ელფერისაა მათი ნაწარმოებები“.

ბ. სალტიკოვ-შჩედრინი

* * *

„ჩვენ გოგოლს ვუწოდებთ სრულიად შეუდარებლად — უდიდესს რუს მწერალთა შორის მისი მნიშვნელობის მიხედვით“.

ნ. ჩერნიშევსკი

* * *

„მკვდარმა სულებმა“ მთელი რუსეთი შესძრა.

ასეთი ბრალდება აუცილებელი იყო თანამედროვე რუსეთისათვის. ეს არის ავადმყოფობის ისტორია — ოსტატის ხელით დაწერილი. გოგოლის პოეზია თავზარდაცემისა და სირცხვილის შეძახილია, რომელიც აღმოხდება უხამსი ცხოვრებისაგან დამდაბლებულ ადამიანს, როცა იგი სარკეში უეცრად დაინახავს თავის გაპირუტყვებულ სახეს“.

ა. გერცენი

* * *

„გოგოლის წინაშე მოწიწებით უნდა თრთოდე, როგორც ისეთი ადამიანის წინაშე, რომელიც დაჯილდოებულია უღრმესი ჭკუით და ადამიანებისადმი სიყვარულით... გოგოლი ადამიანის გულის ჭეშმარიტი მესაიდუმლეა“.

ტ. შევჩენკო



ბ. ᲡᲔᲘᲠᲐᲜᲘᲐᲜᲘ

მხატვარი ალ. ᲕᲔᲤᲮᲕᲐᲫᲔ

მ ე გ ო ბ რ ე ბ ი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ისინი ომის შემდეგ მოვიდნენ ქარხანაში. ორივე კომკავშირელი იყო, ორივეს სახელოსნო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. თანატოლნი, ტანად დაბალი და ჯმუხი იყვნენ. როდესაც დაზგასთან დადგნენ, ძლივს შესწვდნენ მას. საამქროს უფროსმა ურჩია აგურებზე შემდგარიყვნენ. ასეც გააკეთეს ოთარმა)და არტომ, დადგნენ აგურებზე და შეუდგნენ მუშაობას. მათ საქსოვი მანქანის ნაწილები უნდა დაემზადებინათ. მკვირცხლმა და ბეჯითმა ბიჭებმა პირველი დღიდანვე მიიპყრეს საამქროს უფროსის ყურადღება.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ბიჭებო, — ხშირად მიმართავდა იგი, — გეტყობათ კარგად გისწავლიათ.... დახელოვნებულხართ...

ისინი ცვლით მუშაობდნენ ერთ დაზგაზე — ერთი დილიდან, მეორე კი ნაშუადღევიდან.

ჯერ მოიწყინეს, არ სურდათ ერთმანეთს დაშორებოდნენ ერთგული ამხანაგები.

რა კარგი იქნებოდა, რომ მათ ერთ ცვლაში ემუშავათ ერთად! მაგრამ ეს არ მოხერხდა. რას გააწყობენ, როდესაც საქმე ასე მოითხოვდა.

ქარხნის საერთო საცხოვრებელში ისინი ერთ ოთახში მოხვდნენ, მაგრამ აქ მხოლოდ ღამით ხვდებოდნენ ერთმანეთს.

სამუშაო დამთავრდებოდა თუ არა, არტო წამსვე შეუდგებოდა დაზგის დასუფთავებას და გადაცემდა ოთარს, ესეც სამუშაოს დამთავრებისთანავე გულმოდგინედ დაწმენდდა დაზგას, რომ დილით ამხანაგს გასუფთავებული დაზგა დახვედროდა.

საამქროში მეგობრები ყველას უყვარდა. ისინი არასოდეს არ იგვიანებდნენ სამუშაოზე, ზედმიწევნით წესიერი ყოფა-ქცევისა იყვნენ, დისციპლინის მქონენი. დღევანდელ საქმეს არასოდეს ხვალისთვის არ გადასდებდნენ. მათგან არავის არ გაუგონია უწმაწური სიტყვა-პასუხი. ქარხნის დირექცია ხშირად აჯილდოებდა მათ. ერთი წლის შემდეგ ისე გაიზარდნენ, რომ აგურებზე შედგომა აღარ სჭირდებოდათ.

ქარხანაში გაიშალა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება, არტო და ოთარიც უნდა ჩაბმულიყვნენ ამ შეჯიბრებაში. ითათბირეს, თუ ვინ გამოეწვიათ.

— რა შორს მიდიხართ, — თქვა საამქროს უფროსმა, — ერთმანეთს შეეჯიბრეთ...

მართლაც და... რატომ არ შეეჯიბრონ ერთმანეთს? ერთსა და იმავე დაზგაზე მუშაობენ, ერთსა და იმავე დეტალს ამზადებენ. აღრიცხვაც ადვილი იქნება... და გაფორმეს შეჯიბრების ხელშეკრულება. ხელშეკრულება განხილული იქნა კრებაზე, შემდეგ კი საამქროს კედლის გაზეთში გამოქვეყნდა.

— აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, — უთხრა საამქროს მოხუცმა ოსტატმა.

არტოსა და ოთარის შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ყველას აინტერესებდა, თუ რომელი მათგანი გაიმარჯვებდა.

ორივეს პირობა ჰქონდათ დადებული, რომ თითოეულ მათგანს გეგმა 150 პროცენტით შეესრულებინა.

შეჯიბრების პირველ კვირას არტო დილით მუშაობდა, ოთარი კი ნაშუადღევს იწყებდა მუშაობას.

პირველ დღესვე არტომ თავისი გეგმა 108 პროცენტით შეასრულა. ეს სიახლე იყო მისთვის. აქამდე ის 105 პროცენტს ვერ აჭარბებდა.

სამუშაოზე მიმავალ ოთარს საამქროდან მომავალი მუშები შეხვდნენ. უთხრეს რა მისი ამხანაგის წარმატების ამბავი, გახარებულებმა თანაც დააყოლეს:

— აბა, ახლა შენი შნო ვნახოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარმა გაიღიმა და საამქროსაკენ გაეშურა.

ამ დღეს მან უფრო ენერგიულად იმუშავა და გეგმის შესრულება 118 პროცენტამდე აიყვანა. მეორე დღეს კი არტომ უცებ 125 პროცენტს მიაღწია. ამ ამბავმა ყველანი გააკვირვა.

— ეი ყოჩაღ, ჩემო ბიჭიკო,—შესძახა აღფრთოვანებულმა საამქროს ოსტატმა, — ახლა ოთარი შეკაზმულ ცხენზე რომ შეჯდეს, მაინც ვერ დაგეწევა.



შეჯიბრება დღითიდღე ძლიერდებოდა. ამხანაგები ცდილობდნენ ერთმანეთს არ ჩამორჩენოდნენ, სწრაფად, ოსტატურად მუშაობდნენ და არც ერთ წუთს ტყუილუბრალოდ არა ჰკარგავდნენ. საამქროს ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათ და ამარაგებდა საჭირო მასალით. ოსტატი ეხმარებოდა მათ მალე შეეთვისებინათ ახალი ნახაზი, რომ მუშაობის პროცესში მარცხი და გაცდენა არა ჰქონოდათ.

ქარხნის ინჟინრებიც დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ამ ორი ახალგაზრდის მიმართ და თავიანთი რჩევა-დარიგებებით ეხმარებოდნენ მათ.

მთავარი ის იყო, რომ გაცხოველებული შეჯიბრების დროს ოთარი და არტო დაღლილობას არა გრძნობდნენ, პირიქით, მათთვის სამუშაო უფრო სახალისო, უფრო სასიამოვნო ხდებოდა. საყვირის ხმაზე სინანულით ანებებდნენ დაზგას თავს.

2

სოციალისტური შეჯიბრების ვადა დასასრულს უახლოვდებოდა. სულ რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. ამ დროს არტო მოულოდნელად ავად გახდა. გაოფლიანებულიყო და ცივი წყალი დაელია. დილიდანვე სიცხე ჰქონდა, მაგრამ დამალა და თავისი ავადმყოფობა არავის ამცნო.

— არაფერია, გაივლის, — ინუგეშებდა თავს და სამუშაოზე მეორე დღესაც გამოცხადდა. რამდენიმე ხანს არაფერი უგრძვნია, ძველებურად მუშაობდა, შემდეგ თავბრუ დაეხვა, ყურებში შხუილი მოესმა, აღარ შეეძლო დაზგის სწორად მართვა. ელექტროდანას ოსტატურად ვეღარ ხმარობდა, მაგრამ ცდილობდა, რომ საამქროში არ შეენიშნათ მასში მომხდარი ეს ცვლილება. თავჩაქინდრულმა განაგრძო მუშაობა. ძლივს შესძლო მიეღწია წინა დღით გამომუშავებული დონისათვის. წამოვიდა შინ და ლოგინში ჩაწვა.

ოთარი გვიან დაბრუნდა შინ, აანთო ელექტრონათურა, ჩართო ელექტროჩაიდანი და ის იყო გაზეთის გადათვალიერებას შეუდგა, რომ ამხანაგის კვნესა მოესმა. ოთარი მყისვე მივიდა მასთან, შუბლზე ხელი დაადო. არტო სიცხისაგან იწვოდა.

— არტო! — მოუთმენლად ჩასძახა ოთარმა.

არტომ თვალები გაახილა.

— რა მოგივიდა ავად ხარ? — შეეკითხა ოთარი.

— არაფერია, გაივლის, — უპასუხა არტომ და წყალი სთხოვა მეგობარს. ტუჩები გახმობოდა, თვალები დასწითლებოდა.

ოთარმა მიაწოდა წყალი.

— ბიჭო, ექიმს უნდა გამოვუძახოთ.

— არაა საჭირო. — როგორ თუ საჭირო არ არის! — ნაწყენი ტონით მიუგო ოთარმა და სწრაფად გავიდა დერეფანში.

საერთო საცხოვრებელი დუმდა. ყველას ეძინა. „სად წავიდე?“ ფიქრობდა. ოთარმა არ იცოდა ექიმის მისამართი, მაგრამ საჭირო იყო აუცილებლად რაიმე ზომების მიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ გაიხედა მოპირდაპირე კარებისაკენ. აქ მჭედელ ვასილის ოჯახი ცხოვრობდა. ოთარმა კარზე დააკაკუნა. ხმა არავინ გასცა. ყველას ეძინა. ოთარმა უფრო მაგრად დააკაკუნა.

ვასილს გაეღვიძა და კარი გააღო. ოთარმა მას ყველაფერი უამბო. ვასილმა ყურადღებით მოუსმინა, შემდეგ ცოლი გააღვიძა. ქალმა გაიგო თუ არა არტოს ავადმყოფობა წამსვე გადაიცვა ტანსაცმელი და ავადმყოფისაკენ გაეშურა, წყალში გარეული ძმრით დასველებული ტილო დაადო შუბლზე ავადმყოფს და იმავე ხსნარით დაუზილა ტანი.

არტოს ჩაეძინა. ოთარიც დაწვა. ისე იყო დაღლილი, რომ დაწოლა და ძილი ერთი იყო.

ძლიერ გაუკვირდა ოთარს, როდესაც დილით გაიღვიძა და არტო ლოგინში ვერ დაინახა. ეგონა ამხანაგი გარეთ იყო გასული და მალე დაბრუნდებოდა. დიდხანს ელოდა... უცებ ადგილიდან წამოხტა. „ნეტავი სად არის?!“ ფიქრობდა ოთარი, ტანსაცმელი ჩაიცვა და ქარხნისაკენ გაექანა.

არტო უკვე მუშაობდა.

— ბიჭო, რას შვრები?! — ჰკითხა გაკვირვებულმა ოთარმა. არტომ გაიღიმა, ის ფერმკრთალი იყო. ემჩნეოდა, რომ ახლაც თავს კარგად ვერა გრძნობდა.

— რატომ იქცევი ასე?! შინ წადი და ახლავე დაწექი.

—არა, ოთარ, მე დღეს ავად როდი ვარ!— უპასუხა არტომ და განაგრძო მუშაობა.

დანა ზუილით ჭრიდა ლითონს, ლითონის ბურბუშელა ირგვლივ იფანტებოდა ისე, თითქოს სკა აეხადოთ და ფუტკრები ჰაერში დაბზუოდნენ.

ბევრი ემუდარა ოთარი არტოს, რომ სამუშაოსათვის თავი დაენებებინა, შინ წასულიყო და დაწოლილიყო, მაგრამ ვერ გატეხა მისი ჯიუტობა. არტო განაგრძობდა მუშაობას, თუმცა ხელები კი უკანკალებდა. გაბრაზებულმა ოთარმა მიატოვა ის და შინ წავიდა.

ნაშუადღევს სამუშაოზე მომავალმა ოთარმა ამხანაგებისაგან შეიტყო, რომ არტოს ძლივსძლივობით შეუსრულებია დღიური ნორმა. ამ ამბავმა ოთარს გული ატკინა.

„რატომ იქცევა ასე—ფიქრობდა ოთარი, —ავად არის და რატომ არ დაწვება, რომ გამოჯანმრთელდეს? ვინ აძალებს, რომ ავადმყოფმა იმუშაოს? მე ხომ შემიძლია შევასრულო როგორც ჩემი, ისე არტოს სამუშაო? მეტი რა უნდა მას! გეგმა შესრულდება. მაგრამ განა არტო ამაზე დათანხმდება!“ ოთარი კარგად იცნობს თავის მეგობარს. იცის, რომ არტო ჯიუტი და თავმოყვარე ბიჭია. საჭიროა დახმარება, მაგრამ როგორ მოახერხოს, რომ ეს არტომ ვერ გაიგოს?

ოთარმა გადაწყვიტა დახმარებოდა ამხანაგს და საქმეს შეუდგა. განსაკუთრებული ხალისით დაამზადა უფრო მეტი დეტალი, ვიდრე მანამდე ამზადებდა. დეტალების ნაწილი არტოს კარადასთან დაალაგა. ნაწილი კი საწყობს ჩააბარა. შემდეგ მოუხმო ოსტატს, უჩვენა არტოს კარადასთან დალაგებული დეტალები და უთხრა:

— ალბათ დავიწყებია ჩაბარება, ოსტატო, გთხოვთ წაიღონ და საწყობს ჩააბარონ.

— შეხე, შეხე! — შესძახა გახარებულმა ოსტატმა. — მეც მიკვირდა ეს ბიჭი რატომ ჩამორჩა მეთქი! — თვითონ წაიღო დეტალები და ჩააწერინა არტოს სახელზე.

ამის შემდეგ ოთარი თავისი დამზადებული დეტალებიდან ერთ ნაწილს სხვადასხვა მიზეზით ყოველთვის არტოს სახელით აბარებდა.

არტომ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ის განაგრძობდა მუშაობას და თანაც გრძნობდა, რომ ამხანაგს ჩამორჩებოდა, მაგრამ რისი გაკეთება შეეძლო!

თვე დამთავრდა. საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეაჯამეს.

ქარხნის კლუბში დირექტორი იყო მომხსენებელი. მან ილაპარაკა პირველი მაისის მნიშვნელობაზე, ქარხნის წარმატებებზე. შემდეგ შეეხო საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებას. მოწინავეთა შორის დაასახელა არტო და ოთარი, თქვა, რომ ამ ორმა ახალგაზრდამ წარმატებით შეასრულა აღებული ვალდებულება, პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშეო.

გაიგონა რა თავისი სახელი, არტო შეკრთა. მან კარგად იცოდა, რომ შეჯიბრებაში ოთარმა გაუსწრო. მაგრამ როდესაც დირექტორმა თქვა, ეს ორი ამხანაგი ერთმანეთს არ ჩამორჩება, მათ მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს, — არტოს ძალზე გაუკვირდა და გაირინდა. ნუთუ ეს მართალია?— ფიქრობდა არტო, — მომხსენებელი შეცდა ალბათ, ან მცდარი ცნობები მიუციათ მისთვის“.

არტო ვერ ისვენებდა, სურდა შეჰკითხოდა დირექტორს, რომ გაერკვია საკითხი, მაგრამ ოთარმა დაასწრო და შეაჩერა.

— მოითმინე, დაწყნარდი, რას ბორგავ!— უთხრა მან.

— რას ამბობ, ბიჭო, დირექტორი შეცდა, ბიჭებმა იციან, რომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭებმა არაფერი არ იციან, ანგარიშის საქმე არ არის? მეს ცნობები საწყობიდან აქვს მიღებული და, თუ გეეჭვება, წადი, შენ თვითონ შეამოწმე და შემდეგ გაარკვიე საქმის ვითარება.

არტო გაჩუმდა, მაგრამ მაინც ვერ ისვენებდა. მეორე დღეს დილით ის წავიდა საწყობში და თავისი ნამუშევარი შეამოწმა. მართლაც, თვის განმავლობაში მასაც იმდენივე პროდუქცია ჩაუბარებია საწყობისათვის, რამდენიც ოთარს. გული ცოტათი დაუმშვიდდა, მაგრამ ეჭვი მაინც ვერ მოიცილა, იფიქრა, იფიქრა და შემდეგ მივიდა ოთართან.

— ოთარ, — მიმართა მან. — ერთ რამეს შეგეკითხები და სიტყვა მომეცი, რომ სიმართლეს მეტყვი.

— გეტყვი,—შეჰპირდა ოთარი.

— შენ ჩემი სახელით დეტალები ხომ არ ჩაგიბარებია საწყობისათვის?

ოთარს გაეღიმა.

— რისთვის მეკითხები?

— არა, მართალი მითხარი.

— ჩავაბარე, — გამოუტყდა ოთარი, — მერე რა?

— როგორ თუ რა, შეჯიბრებაში ხომ შენ მაჯობე!

— მერე, ნუთუ ეგ არის მთავარი?—ღიმილით მიუგო ოთარმა და წყნარად განაგრძო:—მთავარი ის არის, რომ სამშობლომ მეტი მანქანა მიიღოს, შეჯიბრებაში კი ჩვენ შორის ვინც გაიმარჯვებს, ეს სულ ერთია. ჩვენ ხომ ამხანაგები ვართ, კომკავშირელები.

არტო გადაეხვია ამხანაგს და გულში ჩაიკრა.

თარგმანი სომხურიდან **არტემ დავითიანისა**

კარლო კალაძე

სამგორელთა გამარჯვება

სამგორისკენ გადმოსროლილ
ოორს როცა ვაკვირდები,
ვგრძნობ, რომ ჩვენი სიხარული
მორბის აგრე აზვირთებით!

დაილოცოს ეს მარჯვენა
ფმირული და სასახელო! —
სამგორელთა გამარჯვებას
მღერის მთელი საქართველო!

მთებში ახალ ზღვას რომ ვხედავთ,
ფსურს მიმიწვდეს ხელი ცამდე, —
ვიცი, ბაღი ოშრიალებს
უჯარმიდან თბილისამდე!

წყალი ვასვით ყამირ მიწას,
გავახარეთ მწვანე მდელო,
სამგორელთა გამარჯვებას
მღერის მთელი საქართველო!

ხმა თუ მეც არ ავიმაღლე,
ხალხს აქ როგორც დავენახო! —
სამგორზეა ჩვენი სახლი,
საყანე და სავენახო!

მაშ ჯეჯილით აბიბინდი,
წინაპართა ბრძოლის ველო, —
სამგორელთა გამარჯვებას
მღერის მთელი საქართველო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნარი ქალები

როდიონ ქორქია

1871 წელს საფრანგეთსა და გერმანიას შორის გაჩაღებულ ომში საფრანგეთი დამარცხდა. საფრანგეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ, ტიერის ხელმძღვანელობით, ზავი შეკრა მტერთან. პარიზის პროლეტარიატმა სამარცხვინო ზავს აჯანყებით უპასუხა, დაამხო ბურჟუაზიული მთავრობა და პარიზში კომუნა გამოაცხადა. ეს მოხდა 1871 წლის 18 მარტს. ტიერის მთავრობა ვერსალში გაიქცა. მაგრამ ტიერი შეუთანხმდა გერმანიის მთავრობას და ჯარი შემოარტყა პარიზს. კომუნარები თავდადებით იცავდნენ ქალაქს. პარიზის კომუნამ 72 დღე იარსება. მწვავე ბრძოლების შემდეგ კომუნა დაეცა. მამაკაცების გვერდით გმირულად იბრძოდნენ ქალებიც. ეს იმითაც აიხსნება, რომ პარიზის კომუნამ ქალი უფლებით მამაკაცთან გაათანასწორა. აქ ქალებმა სისხლი დაღვარეს საერთაშორისო მუშათა კლასის საქმისათვის, მშრომელთა ინტერესებისათვის. გავიხსენოთ მათი სახელები.

პარიზის კომუნის ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელი იყო მწერალი ქალი ანდრე ლეო. ის იყო გაზეთ „სოციალური რევოლუციის“ რედაქტორი. 18 მარტს, პარიზის კომუნის გამოცხადების დღეს, მან მოწოდებით მიმართა მშრომელ ქალებს:

„ქალებო! დაიკავეთ თქვენი ადგილები პარიზის კარებთან, რაიონებში და ბარიკადებზე. მოვკვდეთ ჩვენს ძმებთან ერთად... თუ ჩვენთვის თოფები არ აღმოჩნდა საკმაო რაოდენობით, ჩვენს ფეხქვეშ ქუჩებზე ხომ იქნება საკმაო რაოდენობით ქვები? ამოვთხაროთ ეს ქვები და ჩავქოლოთ არამზადები“.

ანდრე ლეო ტიერსა და მის დამჭაშებს არამზადებს უწოდებდა.

ანდრე ლეომ იცოდა, რომ კომუნის გამარჯვებისათვის საჭირო იყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. ამიტომ მან ასეთი მოწოდებით მიმართა ფრანგ გლეხებს:

„მიწა გლეხებს უნდა ეკუთვნოდეს, საწარმოო იარაღი მუშებს, ხოლო შრომით ყველამ უნდა იშრომოს. გლეხის შვილმაც უნდა ისწავლოს ისე, როგორც მდიდრის შვილმა, ოღონდ უფასოდ... სასამართლო უფასო უნდა იყოს, მოსამართლეებს ხალხი უნდა ირჩევდეს. პარიზის კომუნის ბრძოლა ძევახშეებთან, მატყუარებთან და ზარმაცებთან ბრძოლაა... კომუნის საქმე გლეხების საქმეცაა“.

ანდრე ლეო კომუნის დამარცხების შემდეგ დიდხანს ცხოვრობდა შვეიცარიაში, როგორც ემიგრანტი.

დიდი გავლენა ჰქონდა პარიზის მუშა ქალებზე კომუნარ ქალს ლუიზა მიშელს. ლუიზა მიშელი მასწავლებელი იყო. ის იყო მგზნებარე ორატორი, მებრძოლი რაზმების ორგანიზატორი, ბარიკადებზე მებრძოლი. მისი ინიციატივით ეკლესიები კლუბებად გადააკეთეს. ლუიზა ხშირად გამოდიოდა ამ კლუბებში და მგზნებარე სიტყვებით მიმართავდა ხალხს:

—ბურჟუაზია ჩვენი მტერია და უნდა მოვსპოთ იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშელმა მოწყალების დების რაზმი შეადგინა, სროლა შეასწავლა მათ და ბარიკადებზე წაიყვანა. ქალთა რაზმის შედგენის გამო ლუიზამ მოწოდებით მიმართა პარიზის მოსახლეობას:

„კომუნის მოწყალების დები აცხადებენ, რომ მათი სიცოცხლე რევოლუციას ეკუთვნის. ჩვენი მოვალეობაა ჭრილობა შევუხვიოთ იმათ, ვინც დაჭრილია მტრის მოწამლული ტყვიით. ხოლო როცა საჭირო იქნება, ჩვენ ვიბრძოლებთ იარაღით ხელში“.

დადგა ეს დღეებიც. ვერსალელები პარიზში შემოიჭრნენ. კომუნარებმა ბარიკადებით დახერგეს ქუჩები. გაიმართა სასტიკი ბრძოლები. ლუიზამ 120 ქალი ბლანშის მოედანზე გაიყვანა და ბარიკადებზე წითელი დროშა ააფრიალა. ვერსალელები ეკვეთნენ ბარიკადებს. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ბარიკადები დაეცა. ლუიზამ თავის რაზმს პიგალის მოედნისაკენ დაახევინა. აქ, ტყვიის ზუზუნში, ქალებმა ბარიკადების აგება დაიწყეს. ისინი გამვლელ-გამომვლელთ ეუბნებოდნენ:

—მოქალაქევ! ჩვენ ვიცავთ თქვენს თავისუფლებას! მოგვაწოდეთ თქვენი წვლილი ერთი ქვა!

და ვინც კომუნას თანაუგრძნობდა, მოჰქონდა ერთი ქვა...

პიგალის ბარიკადებზე ბრძოლა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. 50 ქალი დაეცა გმირულად, ბევრი დაიჭრა. დაიჭრა ლუიზაც, მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია. დაჭრილები უკანასკნელ დღემდე იცავდნენ კომუნას. კომუნის დამარცხების შემდეგ ლუიზა კატორღაში გაგზავნეს.

პარიზის კომუნის ახალგაზრდა გმირი იყო მარია რიშარი. ის იყო ლამაზი, თმახუჭუჭა, ქერა გოგონა. მას ბარიკადებზე საჭმელი და გაზეთები დაჰქონდა. უყვარდა სიმღერა და ტყვიის ზუზუნში ღიღინით ჩამოივლიდა ბარიკადებს. ვინ იცის, ეგებ იმ წუთებში სულაც არ ემღერებოდა მარიას, მაგრამ მებრძოლთა რიგებში ხალისი რომ შეეტანა, ღიღინით ჩამოარიგებდა ხოლმე სასმელ-საჭმელსა და გაზეთებს. ერთხელ, საჭმელი რომ ჩამოარიგა, სასტიკი სროლა ატყდა. მარიამ ცარიელი კალათა გადადო და მებრძოლებს ჭრილობების შეხვევა დაუწყო. ამ ბრძოლის დროს გოგონა მტრის ტყვიით სასიკვდილოდ დაიჭრა. მარია წაბარბაცდა და ქვემეხთან ჩაიკეცა.

— მარია დაჭრეს! — გაისმა რიგებში.

კომუნარებმა ქვემეხი ვერსალისკენ მიმართეს და შესძახეს:

—მარია რიშარის სახელით, სამშობლოსა და რევოლუციის მოღალატეებს ცეცხლი!

გაისმა ქვემეხის გრიალი.

— გმადლობთ, ამხანაგებო! — შესძახა მარიამ კომუნარებს და ჩაკიდა თავი...

ფრანგ ქალებთან ერთად იბრძოდა რუსი რევოლუციონერი ქალი ელისაბედ დიმიტრიევა. ის კარლ მარქსის პირადი მეგობარი იყო, ნიჭიერი ორატორი და დიდი ორგანიზატორი. მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდა კლუბებში და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მშრომელთ. მან შექმნა პარიზის რაიონებში ქალთა სანიტარული რაზმები, ჩამოაყალიბა მუშა ქალთა პროფესიული ორგანიზაციები, დააარსა, „პარიზის დაცვის ქალთა კავშირი“. როცა ვერსალელები პარიზში შეიჭრნენ, დიმიტრიევამ ქალები ბარიკადების ასაგებად გაიყვანა ქუჩებში და ამ ბარიკადებზე ბრძოლა დაიწყო. მასთან ერთად იბრძოდნენ ცნობილი მათემატიკოსი სოფიო კოვალევსკაია და რევოლუციონერი ქალი ანა კრუპსკაია. კომუნის უკანასკნელ დღეს დიმიტრიევა ბარიკადებზე იდგა, დროშას აფრიალებდა და ამხნევებდა კომუნარებს:

—გაუმარჯოს კომუნას! სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს!

ისტორიამ არ იცის გმირობის ასეთი მაგალითი, — თქვა პარიზის კომუნარებზე კარლ მარქსმა.

პარიზის კომუნა დამარცხდა, მაგრამ მისმა იდეამ გაიმარჯვა 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ნიანგი

ი. სოგნიკი

მხატვარი გ. დიკი

(სენია ლოუეჩკინის დღიურიდან)

15 თებერვალი.

ამ საღამოს მე სახლში ვატარებ. უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, რომ მე კირილესთან არ წავედი საშინაო დავალებების მოსამზადებლად. და არც არასოდეს წავალ. კმარა! მე მივხვდი, რა ადამიანიც ყოფილა იგი!

ყველაფერი, რაც დღეს მოხდა, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროა მისი დაწვრილებით ჩაწერა.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ საკლასო ოთახიდან სხვებზე გვიან გამოვედი. დერეფანში უცნაური რამ ხდებოდა.

ჩვენი კლასის კარებთან ბიჭების დიდი ჯგუფი შეგროვდა. მათ კისრები წაეგრძელებინათ, ფეხის წვერებზე დგებოდნენ, ერთმანეთს მუჯლუგუნებსა ჰკრავდნენ. წამდაუწუმ ისმოდა:

— ნუ მაწვებით!

— რა მოხდა, ა? ბიჭებო, რა ამბავია აქ, ა?

— მოიცათ! გამსრისეთ ბარემ!

როგორც იყო წინ გავძვერი და დავინახე კედელზე გაკრული ქაღალდის ფურცელი. ზევით, მარცხენა კუთხეში, ეხატა რაღაც ხვლიკის მსგავსი. მარჯნივ სხვადასხვა ფერის ასოებით ეწერა:

„პატარა ნიანგი“

VI-ბ კლასის სატირული გაზეთი. გამოდის დღეგამოშვებით. — № 1“

თუმცა აქეთ-იქიდან ხელსა მკრავდნენ, მაინც მოვახერხე წამეკითხა მოწინავე წერილი „სატირის მახვილზე“. აი რა ეწერა მასში:

„ჩვენი კლასი ერთი საუკეთესოთაგანია სკოლაში, მაგრამ ჩვენ შორისაც არიან ზარმაცები და დისციპლინის დამრღვევნი, რომელნიც ხელს უშლიან კლასს მიაღწიოს შემდგომ წარმატებებს.

ჩვენ უკვე გვაქვს რაზმის კედლის გაზეთი, რომელიც მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინისათვის იბრძვის, მაგრამ ცნობილია, რა მნიშვნელობა აქვს სატირას ნაკლოვანებებთან ბრძოლაში.

ამიტომ არის, რომ დღეს გამოდის „პატარა ნიანგის“ პირველი ნომერი.

იგი დაუნდობლად და განურჩევლად პიროვნებისა ამხილებს მათ, ვინც უკან ეწევა კლასს. იგი სატირის ბასრი იარაღის საშუალებით შეებრძოლება უარყოფით მოვლენებს ჩვენს კლასში.

ყველას გთხოვთ მოგვაწოდოთ მასალები, „პატარა ნიანგისათვის!“

გაზეთი პატარა იყო. „სატირის მახვილს“ ჯერ მხოლოდ სამი ბიჭი წამოეგო.

„ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა მიშა ოგურცოვმა დაამთავრა მუშაობა საშუალო საუკუნეების ისტორიის ახალ სახელმძღვანელოზე, — ეწერა ერთერთ წერილში. — მოგვყავს ნაწყვეტი ამ სახელმძღვანელოდან:

„ჯვაროსნებმა 1781 წელს შესძლეს დაეპყროთ სირია, მაგრამ ამ დროს მათ გა-

მოუჩნდათ სახიფათო მეტოქე — თურქეთის ხონთქარი ბარბაროსა. ჯვაროსანთა ბანაკში უთანხმოებანი დაიწყო, ინგლისის მეფე კარლოს გულადი წაეჩხუბა რიჩარდ ლომგულს და საფრანგეთის მეფეს სალადინს".

ამას მოსდევდა ორი ნახატი: ერთზე ეხატა გოლიათი, რომელიც გაბედულად ებრძოდა ათეულ მოწინააღმდეგეს, ხოლო მეორეზე —ხულიგანი, რომელიც თმებით ათრევდა შეშინებულ ბიჭუნას.

„ასე აქვს წარმოდგენილი თავისი თავი მიხეილ არტამონოვს, როდესაც იგი ჩაგრავს სუსტ ამხანაგებს" — გვამცნობდა წარწერა პირველ ნახატზე.

„ასე გამოიყურება იგი სინამდვილეში"— ეწერა მეორეზე.

უკანასკნელ ნახატზე ეხატა ბიჭი, რომელიც უზარმაზარი დანით ჭრიდა მერხზე თავის ინიციალებს. აქვე იყო ლექსიც:

„სახელი მისი „პრიბოლოვ ივან"
საქვეყნო გახდა, ყველგან გაიჭრა
სკოლაში ბევრ მერხი, მაგიდა
მან ამისათვის დაასახიჩრა".

გაზეთის ქვემოთა კუთხეში ხელმოწერები დავინახე:

„რედკოლეგია:
კ. ზამიატინი (პასუხ. რედაქტორი),
ვ. პელიკანოვი (მხატვარი)".

ახლა კი ნათელი გახდა ჩემთვის, რატომ ჰქონდა კირილე ზამიატინს ბოლო დროს ასეთი საიდუმლოებით მოცული გამომეტყველება. ახლა კი მივხვდი, რის შესახებ ეჩურჩულებოდა იგი დასვენებებზე ვალერკა პელიკანოვს და პიონერხელმძღვანელ იგორს.

მე არც კი მწყენია, რომ კირკამ დამიმალა განზრახვა გამოეშვა კედლის გაზეთი. კარგად ვიცი, როგორ უყვარს მას ყოველგვარი მოულოდნელი ეფექტები.

ბიჭები ხმამაღლა აქებდნენ ახალ გაზეთს. ეს ძალიან მახარებდა და გავიქეცი რედკოლეგიის წევრების მოსაძებნად,—მინდოდა მათთვის წარმატება მიმელოცა.

ისინი მე პიონერთა ოთახში ვიპოვნე. კარები რომ შევაღე, მხატვარი ვალერკა განზე გახტა: კარის ჭუჭრუტანაში იგი მკითხველთა ჯგუფს უთვალთვალებდა. იმის უკან რედაქტორი იდგა და, ეტყობოდა, ყურს უგდებდა დერეფნიდან მომავალ ხმებს.

— კირკა! — დავიძახე მე. — ყოჩაღ, ბიჭო, მომილოცავს!

სიამოვნებისაგან მხატვარი კინაღამ დადნა, რედაქტორი კი სერიოზული დარჩა. ისინი საერთოდ ძალიან განსხვავდებიან ერთიმეორისაგან: ვალერკა — აყლაყუდა, თმაწითელი და მხიარული, კირა კი — ჭკვიანი, საკმაოდ ჩასუქებული და ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს დარბაისლური გამომეტყველება, მაშინაც კი, როდესაც ხუმრობს.

— მოქმედებს?—მკითხა მან მოკლედ.

— მოქმედებს და მერე როგორ! მიშკა ოგურცოვს ზედმეტ სახელად უკვე „ისტორიკოსს" ეძახიან, ლექსი პრიბოლოვის შესახებ ზეპირად ისწავლეს. მაგრამ, რაც მთავარია, იცი, ბიჭებს რა უკვირთ: „როგორ არ შეეშინდათ მათ მიშკა არტამონოვის გაზეთში გაწერაო? იგი ხომ ახლა ზამიატინს უსათუოდ მიტყეპავს. ვალერკას ხელს ვერ ახლებს — ვალერკა ღონიერია, მაგრამ ზამიატინს — ყოველგვარი ეჭვის გარეშე!"

— ერთი სცადოს,—თქვა მხატვარმა.

—რას იზამ! შეიძლება მართლაც მცემოს, —მშვიდად მიპასუხა რედაქტორმა. — სატირიკოსები ყოველთვის იძენენ მრავალრიცხოვან მტრებს.

— აჰა! მე ზუსტად ასე ვუთხარი ბიჭებს: „სწორედ, — ვამბობ, — ის არის დასაფასებელი, რომ განურჩევლად პიროვნებისა. გინდ არტამონოვი იყოს, გინდა სხვა ვინმე". ხომ ასეა, კირკა?

აქ მე მომეჩვენა, რომ რედაქტორი და მხატვარი ცოტათი შეკრთნენ. ვალერკამ თქვა „ჰმ", მიუჯდა მაგიდას და შეუდგა გაზეთის მეორე ნომრის სათაურის შეფერადებას, კირილე წარბშეჭმუხვნილი მიყურებდა.

— გამიგონე, სიმონ, უნდა გაგაფრთხილო... — დაიწყო მან ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. — თუმცა ეს რედაქციის საიდუმლოა, მაგრამ რადგან შენ ჩემი მეგობარი ხარ... ერთი სიტყვით, ჩვენ შემდეგი ნომრისთვის დაგგეგმეთ შენ.

მე ჯერ ვერაფერი ვერ გავიგე:

— როგორ? სად დამგეგმეთ?

— ფელეტონში, — თქვა კირკამ.—კლასში ყბედობის თემაზე.

— ყოჩაღ! შენ... შენ სერიოზულად ამბობ ამას კირილე?

— ასეთი საქმე სახუმარო არაა.

— ესე იგი... ესე იგი, თქვენსავე მეგობარს გასწერთ, კირილე ივანეს-ძევ?

— რა უცნაური ხარ, სიმონ! მე ხომ არ შემიძლია სხვა ყბედები გავწერო, შენ კი არა.

— საერთოდ რაში გესაჭიროება ყბედების გაწერა? განა ამის გარდა არაფერია გასაწერი?

კირკა, ცოტა არ იყოს, გაბრაზდა:

— იცი რა, სიმონ... მეგობრობა მეგობრობად რჩება, მაგრამ პრინციპი კი პრინციპად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასში ლაყბობა უარყოფითი მოვლენაა, მაშასადამე, ჩვენმა სატირულმა გაზეთმა უნდა გაამათრახოს იგი. ეს პრინციპული საკითხია.

— კარგი პრინციპია! გაამასხარაო მეგობრები!

ვალერკამ უცებ განზე გადაისროლა ფუნჯი და წელში გაიმართა.

— რისთვის მოსულხარ ან რაზე ბუზღუნებ?—თქვა მან.—აბა, მოუსვი აქედან და ნუ გვიშლი ხელს მუშაობაში!

მივხვდი, რომ აქ სალაპარაკო აღარაფერი მქონდა. მე მხოლოდ ვიკითხე:

— კარიკატურასაც დახატავთ?

რედაქტორმა თავი დამიქნია.

— დიაღ. ჩვენ ყველაფერს ილუსტრაციებით ვათავსებთ.

— კეთილი, კირილე ივანეს-ძევ! მადლობელი ვარ! დავიმახსოვრებთ! — ვთქვი და გავედი.

აი სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს უსიამოვნებამ! ვუერე, ვწერე და მხოლოდ ახლა მომაგონდა, რომ საჭიროა შემოკლებული გამრავლების ფორმულების შესწავლა. არა უჭირს რა! შეიძლება ხვალ არ მკითხონ.

16 თებერვალი. საღამოს 7 საათი.

დღეს კლასში შესვლისას აღარ დავჯექი ჩემს ძველ ადგილზე, კირილეს გვერდით. რედაქტორს წინ დაბეჭდილი კონვერტი დავუდე და დავიწყე მერხებს შორის სეირნობა ჩანთა ზურგს უკან მეკავა.

კონვერტში წერილი იყო. რას ვწერდი მე მასში:

„ზამიატინ!

მე მინდა ადგილი გავუცვალო პელიკანოვს. ასე თქვენ უფრო გაგიადვილდებათ ყოფილი მეგობრების წინააღმდეგ ხრიკების მოწყობა. თუ პელიკანოვი არ გამიცვლის ადგილს, მე მაინც არ დავჯდები შენს გვერდით. ეს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილებაა.

ს. ლოჟეჩკინი“

კირკამ წაიკითხა წერილი და თქვა:

— სასაცილოა, სიმონ!

ხმაამოუღებლივ ავიჩეჩე მხრები და განვაგრძე სიარული.

მაშინ კირკამ წერილი ვალერკას უჩვენა. მან ჩაიცინა და თქვა: „ძალიან კარგი, ეს ჩვენ გვაწყობს“, და თავისი წიგნები რედაქტორის მერხზე გადაიტანა. მე მის ადგილზე დავჯექი, მიშკა არტამონოვის გვერდით — სწორედ იმ მიშკასთან, რომელიც გოლიათად იყო დახატული.

ზარის შემდეგ, გაკვეთილის დაწყებამდე, ჩვენთან შემოვიდა პიონერხელმძღვანელი იგორი.

— მოგეწონათ „პატარა ნიანგი“? — ხმამაღლა იკითხა მან.

— მოგვეწონა! — ერთხმად უპასუხა კლასმა.

„ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა“ მიშკა ოგურცოვმაც კი თქვა: „მოგვეწონა!“ მხოლოდ მე, არტამონოვსა და ვანია პრიბოლოვს არ ამოგვიღია ხმა.

— ამიერიდან ფრთხილად იყავით! — თქვა იგორმა. — „პატარა ნიანგი“ ოპერატიული გაზეთია. თუ რამეს ჩაიდენთ, ხელათ გამოგამზეურებთ.. გასაგებია?

— გასაგებია! — უპასუხა კლასმა.

— დავეხმარებით „პატარა ნიანგს“? მივაწვდით წერილებს?

— მივაწვდით! — დაიყვირა ერთად ოცდაათმა ბიჭმა.

მთელი დღის განმავლობაში ვცდილობდი კირილესათვის არ მიმექცია არავითარი ყურადღება, ის კი, მგონი, მართლაც არ მაქცევდა ყურადღებას. ყველა დასვენებაზე ბიჭებს მოჰქონდათ მასთან წერილები. იგი სერიოზული სახით ჩაათვალიერებდა წერილს და იტყოდა: „კარგი! ამას ჩვენ დავამუშავებთ“. ანდა: „არ გამოდგება. ეს წვრილმანია“.

ვანია პრიბოლოვმა დღეს სამჯერ გახსნა თავისი ჯიბის დანა, მაგრამ სამჯერვე დარცხვენით უკან ჩაიდო ჯიბეში.

იმავე დღეს. 10 საათი და 30 წუთი.

საძაგელ გუნებაზე ვარ. როდესაც მარტო ხარ, გაკვეთილების სწავლა ძალიან მოსაწყენია. ეს ალბათ შეუჩვევლობისგანაა.

არ ვიცი, შეიძლება მე გავფიცხდი და ტყუილუბრალოდ წავეჩხუბე კირკას? ბოლოსა და ბოლოს, რა არის ამაში ისეთი, თუკი იგი ერთხელ დაწერს ჩემს შესახებ გაზეთში? გარდა ამისა, რა მისი ბრალია, თუ ასეთია მისი მოვალეობა?

შემოკლებული გამრავლების ფორმულები უნდა მესწავლა, მაგრამ ხვალისათვის ბევრი გვაქვს მოცემული რუსულში. არაფერია, ფორმულები მოიცდის.

17 თებერვალი.

არა, კირილე ზამიატინ, არასდროს, არასდროს აღარ გაგცემს შენ ხმას სიმონ ლოჟეჩკინი!

გაზეთში დახატულია მერხზე მჯდომი ნისკარტდაღებული ოთხი კაჭკაჭი, გვერდით კი მიუხატეს ოთხი თევზი, დაფასთან ბოლოებზე მდგომი და სასოწარკვეთილად თავჩაქინდრული. ამ სულელური ნახატისათვის მიუწერიათ: „გამოიცანი!“

ჩვენ, მერხზე მსხდომნი, — ყბედი კაჭკაჭები ვართ.

დაფასთან მდგომნი, — მუნჯი თევზები.

ვინა ვართ?

პასუხი: არტამონოვი, ლოჟეჩკინი, ტარასკინი, ბოდროვი.

და სწორედ იმ დროს, როდესაც ბიჭების ერთი ნაწილი მე დამცინოდა, სხვებმა გამოათრიეს პინერთა ოთახიდან კირკა და ვალერი ყვირილით:

— ჰაერში ავაგდოთ რედაქტორები!

მე ბრაზით კბილებს ვაკრაჭუნებდი, როცა ვუყურებდი რედაქტორსა და მხატვარს, რომლებიც თითქმის ჭერამდე ფრენდნენ. ამას ისიც დაერთო, რომ მიშკა არტამონოვი მომიდგა გვერდში, პირქუშად ჩაიცინა და თქვა:

— შეხე შენს მეგობარს, როგორ მოხერხებულად მოიხვეჭა სახელი შენს ხარჯზე!

— ეგ ისეთივე მეგობარია, როგორიც შენ რომის პაპა! — მოვუჭერი მე.

მიშკა დადუმდა, მერე ჩაიბურტყუნა:

— სცადოს ერთი ქუჩაში გამოსვლა! მე მას ვუჩვენებ კაჭკაჭებსა და თევზებს!

საკმარისია! ხვალინდელი დღიდან გაკვეთილებზე არც ერთ სიტყვას აღარ ვიტყვი.

18 თებერვალი.

საძაგელ გუნებაზე ვარ.

რუსულზე და ფიზიკაზე ლაპარაკისათვის შენიშვნა მომცეს. გარდა ამისა, ალგებრაში ორიანი მივიღე: არ ვიცოდი შემოკლებული გამრავლების ფორმულები.

ორიანი სერიოჟა ბოდროვმაც მიიღო. ეს მისთვის უკვე მესამეა. პირველი ორი რუსულსა და ქიმიაში აქვს. ის მთელ თავის დროს ეზოში ჰოკეის თამაშს ანდომებს.

ვანია პრიბოლოვმა თავისი ჯიბის დანა შემომთავაზა საერთო რვეულში, მეც გავუცვალე.

19 თებერვალი.

ახლა კი საბოლოოდ მივხვდი, რა უსინდისოა ეგ ზამიატინი. ვერაფერი ვერ მოიგონა უფრო ჭკვიანური და ისევ გამწერა გაზეთში, ამჯერად ალგებრისათვის!

არტამონოვიც მოხვდა, „პატარა ნიანგში“. იგი ნიჭიერია, მაგრამ როგორღაც უცნაურად სწავლობს: მიიღებს ხუთს რუსულში—დაამსახურებს ორიანს გეომეტრიაში, გამოასწორებს საქმეს გეომეტრიაში, — მიარტყამენ ორიანს ბიოლოგიაში.

მესამე დაზარალებული კუზია ტარასკინია: დადის პირდაუბანელი და თმაგაბურძგვნილი.

ახლა ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ სკოლაში მისვლაც კი არ ღირს. წამდაუწუმ გვესმის:

— როგორ ბრძანდება კაჭკაჭი?

— გოლიათო, ბევრი მტერი დაამარცხე?

ზამიატინი და ვალერკა კი ნამდვილად ცნობილი პიროვნებები გახდნენ. როგორც კი გამოჩნდებიან ტანისამოსის გასახდელ ოთახში, კიბეზე, დერეფანში — ყოველი მხრიდან მოისმის შეძახილები:

— სალამი „პატარა ნიანგის“ რედაქტორებს!

— გამარჯვება სატირის ოსტატებს! როდის გამოვა შემდეგი ნომერი?

არტამონოვი იმაზე ოცნებობს, რომ გამოიჭიროს რედაქტორი ქუჩაში, მაგრამ არ გამოდის: კირილე და ვალერკა ერთ ქუჩაზე ცხოვრობენ და ყოველთვის ერთად დადიან. სამწუხაროა!

20 თებერვალი.

არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა. ინგლისურის მასწავლებელმა გაკვეთილზე ლაპარაკისათვის შენიშვნა მომცა. გავეკამათე სერიოჟკა ბოდროვს, რომელიც ჩემ წინ ზის. ძალიან ბევრს ტრაბახობს თავისი ჰოკეით!

ოგურცოვმა ისტორიაში ოთხი მიიღო, მას ახლა აღარ უძახიან „ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს“.

21 თებერვალი.

ისევ „პატარა ნიანგი“ და მასში ისევ მე, ბოდროვი და არტამონოვი. მე და ბოდროვი ლაყბობისათვის, მიშა კი — გეომეტრიისათვის.

მე თუმცა არ ველაპარაკები კირილეს, მაგრამ დღეს მივედი მასთან და ვკითხე:

— ერთი ეს მითხარი, ბოლოსა და ბოლოს, შენ სინიდისი თუ გაქვს? რა არის, რომ სულ ერთსა და იმავე ხალხის ხარჯზე გამოდიხარ?

— აბა, მაშ რა ვქნა, თუკი სხვა მასალა არა მაქვს? — მიპასუხა რედაქტორმა. — და მერე კიდევ, სატირული გაზეთი ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის გამოდის, თუ რომელიმე ნაკლოვანება არ არის აღმოფხვრილი, მაშასადამე, უნდა ვურტყათ ამ ერთ წერტილში. გაზეთი მოქმედი უნდა იყოს. მიხვდი?

მაგრამ ჩვენ ეს ასე არ დავტოვეთ. მე, ბოდროვი და არტამონოვი მივედით ხელმძღვანელ იგორთან და ვუთხარით, რომ ეს აღმაშფოთებელია. ჩვენი ბიჭების ნახევარზე მეტი სულ არ მოხვედრილა „პატარა ნიანგში", დანარჩენები თუმცა ხანდახან ხვდებიან, მაგრამ ძალიან იშვიათად, ჩვენ სამნი კი თითქოს მიკერებული ვიყოთ ამ გაზეთზე. იგორმა ძალიან მოკლედ გვიპასუხა:

— წერილები სამართლიანია? სავსებით სამართლიანი. თქვენივე ბრალია, რომ დაგინიან.

22 თებერვალი.

აი რა მოხდა ფიზიკის გაკვეთილზე. ივანე დენისის ძე საკლასო დაფის წინ დადიოდა და ჰიდრავლიკური წნეხის მოქმედების პრინციპს გვიხსნიდა. უცებ იგი შეჩერდა და დაკვირვებით შეხედა სათვალეების ქვეშიდან კირკასა და ვალერკას. მეც შევხედე მათ. მხატვარი კარიკატურას ხატავდა, წარბშეკრული რედაქტორი კი კალმისტარის ბოლოსა ღრღნიდა: მის წინ იდო რვეულის ფურცელი დაუმთავრებელი ლექსით. მასწავლებელი მაგიდასთან მივიდა:

— მაშ ასე, ვიმეორებ: თუ დიდი დგუშის გამოყენებისას ჩვენ ვაგებთ მანძილში, სამაგიეროდ იმდენჯერვე ვიგებთ... პელიკანოვ, რაში ვიგებთ?

ვალერკა წამოხტა და ჭარხალივით გაწითლდა.

— მაშასადამე, რაში ვიგებთ ჩვენ? — გაიმეორა ივანე დენისის ძემ.

—წყალში! — წამოიყრანტალა მხატვარმა. ყველამ, რასაკვირველია, გულიანად გადიხარხარა.

— დაჯექით, პელიკანოვ! მაშ რაში ვიგებთ, ზამიატინ?

—მოცულობაში? — წაილუღლუღა კირკამ.

— დაჯექით, ზამიატინ! ვიგებთ ძალაში,— თქვა მასწავლებელმა და რაღაც აღნიშნა დავთარში.

გაკვეთილების შემდეგ არტამონოვმა, ბოდროვმა და მე დავაკაკუნეთ პიონერთა ოთახის კარებზე. ჩვენ ყველა ერთობ მხიარულ გუნებაზე ვიყავით, ერთმანეთს მუჯლუგუნებს ვკრავდით და თვალს ვუკრავდით.

კირილემ კარი გაგვიღო და გადახედა ოთახის შუაგულში მდგომ მხატვარს, რომელსაც ერთ ხელში ჭიქით წყალი ეკავა, მეორეში კი ფუნჯი. მე ძეტად ზრდილობიანი კილოთი შევეკითხე:

— გვაპატიეთ, ხომ არ შეგიშალეთ?

— შემოდით, — თქვა რედაქტორმა.

შევედით ოთახში.

— აქ ჩვენ ერთი პატარა წერილი გვაქვს, — ისევ ძეტად ზრდილობიანად ვთქვი მე და რედაქტორს რვეულის ფურცელი გავუწოდე.

მან გამომართვა წერილი, მივიდა ვალერისთან და მათ ერთად დაიწყეს მისი კითხვა. ჩვენ კი გატვრენილები ვიდექით. მხოლოდ მიშამ ერთხელ ჩაიხითხითა მუშტში.

რედაქტორმა წერილი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

— უნდა გითხრ ათ, რომ ჩვენ ეს გავითვალისწინეთ, — თქვა მან.

— ძალიან სასიამოვნოა, რომ გაითვალისწინეთ, — ვუპასუხე მე. — ახლა ნება მომეცით გკითხოთ: ჩვენი წერილი გამოქვეყნდება?

კირილემ შემხედა თვალებში და მომიჭრა:

— არა.

— შეხედე ერთი! — თქვა არტამონოვმა. — ეს რატომ?

— ენამახვილი არ არის. ამ თემაზე ჩვენ უკეთესი მასალა გვაქვს. თუმცა ეს რედაქციის საიდუმლოებაა, მაგრამ, თუ გნებავთ, შეგიძლიათ ნახოთ.

ჩვენ მივედით მაგიდასთან, რომელზედაც დაუმთავრებელი გაზეთი იდო.

მასზე პატარა ნიანგი იყო დახატული, რომელსაც ქეჩოში წაევლო ხელი ორი ბიჭუნასათვის: ერთი მათგანი ბურთივით მრგვალი იყო, მეორე კი — აყლაყუდა, ნარინჯისფერი თმებით. თვით წერილში კი ასე ეწერა:

„პ ა ტ ა რ ა ნ ი ა ნ გ ი. რას აკეთებდით ამ უკანასკნელ დროს, თქვე ასეთო-ისეთებო?

ზ ა მ ი ა ტ ი ნ ი და პ ე ლ ი კ ა ნ ო ვ ი: ოროსნებს დაკინოდით კედლის გაზეთში.

პ ა ტ ა რ ა ნ ი ა ნ გ ი. გუშინ რაღა ჩაიდინეთ?

ზ ა მ ი ა ტ ი ნ ი და პ ე ლ ი კ ა ნ ო ვ ი. ფიზიკაში ორიანები მივიღეთ".

ამას ქვემოთ ასეთი მინაწერი ჰქონდა:

„რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ. რედაქცია აღნიშნულ კრიტიკას სამართლიანად თვლის და იღებს ვალდებულებას სასწრაფოდ აღმოფხვრას ორიანები. ამ ნომრიდან დაწყებული „პატარა ნიანგი" გამოვა არა დღეგამოშვებით, არამედ კვირაში ორჯერ".

— სჯამეთ? — გვკითხა ვალერკამ.

პასუხად რაღაცა გაუგებარი ჩავილუღლუღეთ და პირში ჩალაგამოვლებულები დავბრუნდით უკან.

გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამიჯდეს ხვალ მოვიშორო ორიანი ალგებრაში: შემოკლებული გამრავლების ფორმულებს დავაწერ ფანქრის წახნაგებს. წარმოგიდგენიათ, რა საშინელი მძიმე სამუშაოა? ქინძისთავის ყუნწის ოდენა ასოებისა და ციფრების ნემსით ამოკაწვრა!

23 თებერვალი.

აქამდის ვერ დავწყნარებულვარ, იმდენი განცდები მქონდა დღეს.

ჯერ ერთი, საკუთარ თავზე დაწერილმა კირკას წერილმა კიდევ უფრო გაზარდა „პატარა ნიანგის“ სახელი. ბიჭები აღტაცებით ყვიროდნენ:

— აი ეს გაზეთია! აი ეს არის სწორედ — განურჩევლად პიროვნებისა!

— მეორეც, ფანქრის დახმარებით მშვიდობიანად მოვახერხე სამიანის მიღება ალგებრაში. და ბოლოს, ვალერკას კბილი ასტკივდა და უკანასკნელი გაკვეთილიდან ექიმთან წავიდა, კირილე კი მცველის გარეშე დარჩა.

მე უკვე ტანისამოსის გასახდელ ოთახში ვიყავი ჩასული, მაგრამ უცებ მომაგონდა, რომ ის ჩემი ფანქარი კლასში დამრჩა. იძულებული გავხდი დავბრუნებულიყავი.

მესამე სართულის ცარიელ დერეფანში არტამონოვი დავინახე, რომელიც პიონერთა ოთახის კარების წინ დასეირნობდა და დროდადრო მრისხანედ ათვალიერებდა მას. მე მან შემნიშნა, რადგანაც კიბის ბაქანზე ვიდექი, კუთხეს მოფარებული. ფანქრის საბრალობა იქვე დამავიწყდა. მივხვდი, რაც მოხდა. ყვებოდა ამას.

პიონერთა ოთახის კარები გაიღო და იქიდან რედაქტორი გამოვიდა. რა თქმა უნდა, არტამონოვი რომ დაინახა, კირკამ კარგად ვერ იგრძნო თავი, მაგრამ არ შეიმჩნია და აუღელვებელი გამომეტყველებით კიბისაკენ გაეშურა. არტამონოვმაც გულგრილი სახე მიიღო და უკან გაჰყვა მას. მე კედელსა და კარებს შორის გავინაბე, ხოლო როდესაც რედაქტორმა და მიხეილმა გვერდზე ჩამოარეს, ფეხაკრეფით გავყევი უკან.

გასახდელ ოთახში ზამიატინი დიდხანს იცვამდა ქურქს, ისწორებდა კალოშებს და ცდილობდა ეჩვენებინა, რომ იგი ვერ ამჩნევს არტამონოვს. ეს უკანასკნელი კი, უკვე ჩაცმული, სარკეში იყურებოდა და ღიღინებდა:

— „ბებიას ჰყავდა თეთრი თიკანი...“

ბოლოს ისეთივე გულგრილი გამომეტყველებით გავიდნენ გარეთ.

იმავე წუთში მეც, უკვე ჩაცმული, გავვარდი ქუჩაში.

შესახვევი, სადაც ჩვენი სკოლაა, ჩუმი და თითქმის უკაცური იყო, ქვაფენილის გასწვრივ თოვლის გროვები მთებივით გაჭიმულიყო.

კირილე და მიხეილი აუჩქარებლად მიაბიჯებდნენ, თითქოს მისეირნობდნენ: წინ რედაქტორი შავი ქურქით და ყურებიანი ქუდით, უკან — არტამონოვი, თექის ჩექმებით, ბეწვიანი ქურთუკით და გვერდზე მოქცეული ყუბანური ქუდით.

თარგმნა თ. **გორდელაძემ**

(დასასრული შემდეგ ნომერში)



შუქურა გადაარჩინეს

მოთხრობა

ქეთევან ქორაშვილი

მხატვარი შ. ცხადაძე

— მამაშენი შინაა, გივი? — ჰკითხა ლობეზე მომდგარ ბიჭს მეხბორე შერმადინმა, რომელმაც ფერმიდან მოირბინა.

— შინაა, რა იყო? — შეეკითხა გივი.

— რას გახვითქულხარ, ბიჭო, რად გინდა ლევანი? — მიმართა პაპა იოსებმაც, რომელიც იქვე ჭიშკართან ლობეს ასწორებდა.

ვიდრე შერმადინი პასუხს გასცემდა პაპა იოსებს, აივანზე ლევანი გადმოდგა.

— ძია ლევან, ელენე ძალომ გამომგზავნა ფერმიდან, ძროხაა ძალიან ცუდად, ვეტექიმი ნუკრიანის კოლმეურნეობაში წასულა და საჩქაროდ შენი მანქანით მოიყვანეო.

— რა დაემართა, ბიჭო? — ჰკითხა ლევანმა, ქუდი დაიხურა და საჩქაროდ ჩამოირბინა კიბე.

— რომელი ძროხაა ავად? — შეეკითხა შეწუხებული სახით გივი.

— შუქურა, — უპასუხა შერმადინმა.

— შუქურა?! ფერმის თვალი? რას მეუბნები, რა დაემართა? — შეწუხდა გივი.

— რა ვიცი, აბა, გუშინ საჭმელს უგულოდა ჭამდა, დღეს კი ფეხზე ვეღარ დგება. მამიდაშენი ცხარე ცრემლითა ტირის.

ლევანი საჩქაროდ მიუჯდა მანქანის საჭეს და მოტორის ამუშავება დაიწყო. როცა ბავშვებმა მანქანის ხმა გაიგონეს, მაშინვე მანქანასთან გაჩნდნენ. ლევანმა მათ რომ შეხედა, მიუხვდა ბავშვებს გულისწადილს, გივი გვერდზე მოისვა, დანარჩენებს კი უთხრა:

— აბა, დასხედით უკან, წაგიყვანთ.

ბავშვები ჟრიამულით შეცვივდნენ მანქანაში. წუთში ახმაურდა მანქანა, სოფლის შარაგზაზე გასრიალდა და დილის ზეციერ მზის სხივებზე ლაპლაპი დაიწყო.

ცოტა მანძილი რომ გაიარა, ლევანმა გივის ამხანაგები მანქანიდან ჩამოსხა. — ვეტექიმი უნდა მოვიყვანო, არ იცელქოთ, მინ დაბრუნდითო,—უთხრა მათ და მანქანა კვლავ გააქროლა. ნუკრიანში რომ ავიდა, მანქანაში ვეტექიმი ჩაისვა.

როცა მანქანა ფერმასთან გაჩერდა, ელენე მიეგება მოსულთ. მას მუდამ მხიარული სახე ახლა შესცვლოდა. ექიმისა და ლევანის დანახვაზე თვალები ცრემლით ავსო.

დიდი, ნათელი და სუფთა საძროხის ერთ გადატიხრულ კუთხეში შუქურა ჩალაზე იწვა, სხვა ძროხები კი, თავიანთ სადგომებში ჩამწკრივებულნი, ბაგებში ჩაყრილ ჭარხალს მადიანად ახრამუნებდნენ. ხანდახან შუქურასაკენ გადმოიხედავდნენ, თითქოს კითხულობდნენ, რა დაემართა ჩვენს დასო.

მოსულთ სხვა მწველავი ქალებიც შემოეხვივნენ გარს. გივი შუქურას მიუჯდა და შეწუხებული სახით შუბლზე უსვამდა ხელს.

როცა შუქურა ძლივძლიობით წამოაყენეს ფეხზე, მან ისე დაიკვნესა, რომ ყველას გული ატკინა.

— შენი კვნესამე, შუქურავ, რა ვქნა, რა დაგემართა? — ამოიოხრა ელენემ.

ვეტექიმმა შაქრომ ძროხის სინჯვა რომ დაიწყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხო და ფერმის გამგე დათაც შემოვიდნენ.

შაქრომ გულმოდგინედ გაუსინჯა ავადმყოფ ძროხას გული, ფილტვები, და როდესაც კუჭის მიდამოებში დააჭირა ხელი, შუქურა შეხტა და მწარედ დაიკვნესა. შაქრომ თავი გააქნია და შეფიქრიანებულმა თქვა:

— როგორც ეტყობა, თივასთან ერთად რაღაც ჩაუყოლებია.

ელენეს მკვდრის ფერი დაედო.

— ამხანაგო შაქრო, ყოველგვარი ღონიძიება უნდა ვიხმაროთ და შუქურა გადავარჩინოთ, ამისთანა ძროხა ფერმაში არა გვყავს, — უთხრა ვეტექიმს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— ასეთ შემთხვევაში საქონელს კლავენ, მაგრამ შუქურას გამეტება ასე ადვილი არ არის, ამიტომ სოფელში ვეტერინარულ სამკურნალოში გადავიყვანოთ. მეტად რთული

და ძნელად გადასატანი ოპერაციის გაკეთება იქნება საჭირო. ვინაიდან მე ამდენი გამოცდილება არა მაქვს, ამიტომ თბილისიდან ვეტერინარი ქირურგი რომ მოვიწვიოთ, კარგი იქნება. ვცადოთ, იქნებ როგორმე გადავარჩინოთ.

ერთი საათის შემდეგ მანქანა თბილისისაკენ მიქროდა ქირურგის ჩამოსაყვანად.

მეორე დღეს ვეტსამკურნალოში თავი მოიყარა მახლობელი სოფლების ექიმებმა და ვეტფერშლებმა. ისინი თეთრი ხალათებით იყვნენ, ოპერაციის დასაწყებად ყველაფერი მზად იყო. პროფესორი ქირურგი მირიანაშვილი ყველას გარკვეულ დავალებას აძლევდა. ზეწარგადაფარებული შუქურა თივის დიდ ლეიბზე იწვა. მარცხენა მხარეს, საოპერაციო ადგილზე ბალანი გაეპარსათ და იოდი წაესვათ. ვეტექიმმა შაქრომ საოპერაციო ადგილის გარშემო ნემსით ტკივილგამაყუჩებელი წამალი შეუშხაპუნა შუქურას, შემდეგ ძილის მომგვრელი წამალი ასუნთქებინა. გივი მეორე ოთახიდან გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ექიმების მზადებას. იქვე იყვნენ მამამისი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბრიგადირი, აღმრიცხველი, ელენე და სხვანი, რომელნიც მოუთმენლად მოელოდნენ ოპერაციის შედეგს. რამდენიმე კაცი შუქურას ზურგის მხრიდან აკავებდა. პროფესორმა ბასრი დანით ძროხის მუცელზე ჯერ კანი გადასერა, მერე კუნთები. დამხმარე ექიმები ზოგი სისხლს აშორებდა დოლობანდის ნაჭრებით, ზოგი სისხლის გადაჭრილ ძარღვებს პინცეტებს უჭერდა სისხლის დენის შესაჩერებლად, ზოგიც ჩანგლებით ჭრილობას აფართოებდა. ბოლოს გამოჩნდა კუჭიც, რომლის წინა კედლის ადგილი შესივებული და გაწითლებული იყო. პროფესორმა კუჭის კედელი ფრთხილად გადასერა, დამხმარე ექიმმა ჩანგლებით ჭრილობის ნაპირები აქეთ-იქით გასწია და ნათლად გამოჩნდა კუჭის კედელში შერჭობილი მავთულის ნაჭერი. პროფესორმა ფრთხილად გამოაძრო მავთული, დაზიანებულ ადგილას წამალი წაუსვა და შემდეგ ჭრილობის გაკერვა დაიწყო. ერთ საათს გაგრძელდა ოპერაცია. ოპერაციის შემდეგ შუქურა მალე მოვიდა გონს, წამოდგომა სცადა, მაგრამ არ მისცეს ადგომის ნება.

— ორი-სამი დღე მაინც უნდა იწვეს, — თქვა პროფესორმა.

საოპერაციოდან ყველანი გავიდნენ, გარდა მორიგე ფერშლისა.

— პატივცემულო პროფესორო, დიდად გმადლობთ დახმარებისათვის, თქვენ კოლმეურნეობას გადაურჩინეთ მეტად ძვირფასი ძროხა, — უთხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პროფესორს.

— ჩვენი ქვეყნის მეცნიერები და სპეციალისტები არასოდეს არა ზოგავენ თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას საკოლმეურნეო დოვლათის დაცვისა და შენარჩუნებისათვის. ამას მეც ჩემს წმინდა მოვალეობადა ვთვლი. მართალია, ჯერ დანამდვილებით არ შემიძლია ვთქვა გადარჩება თუ არა შუქურა, ვინაიდან ასეთ ოპერაციას მსხვილფეხა ცხოველები იშვიათად იტანენ, მაგრამ შუქურა ისეთი ჯანსაღი და წყნარი ძროხაა, რომ ოპერაცია, ვფიქრობ, კარგად უნდა დამთავრდეს. — თქვა პროფესორმა, შემდეგ ექიმებს რჩევა-დარიგება მისცა თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ შემდგომ.

* * *

ელენემ თავისი ძროხები სხვა მწველავ ქალებს ჩააბარა, თვითონ კი შუქურას აღარ მოსცილდა. ისე უვლიდა, როგორც ავადმყოფ ადამიანს. ორი დღე-ღამის განმავლობაში იწვა ძროხა. მორიგეები დღედაღამ არ შორდებოდნენ. პირველ დღეს არც წყალი და არც საჭმელი არ მისცეს, მეორე დღეს წყალი დაალევინეს. წყალში ცოტ-ცოტა ფქვილიც მიუმატეს. რამდენიმე დღის შემდეგ შუქურა ისე კარგად გახდა, რომ ფეხზეც წამოაყენეს. რბილ და ნოყიერ საჭმელებს აძლევდნენ. ორი კვირის შემდეგ კი ის ფერმაში გაიყვანეს. ელენე თავს ევლებოდა, საჭმელს გულმოდგინედ უმზადებდა, უხეირო არაფერი შეჰყვესო. დასუსტებული შუქურა მალე ისე მოღონიერდა, რომ მისი ბარაქიანი ჯიქანი ისევ წინანდებურად გაივსო რძით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მ ე რ ცხ ლ ე ბ ი

მზემ გაუთბო მიწას მკერდი,
მწველი სუსხი გაჰყვა ზამთარს.
ხბო, ეზოში გამოსული,
დაბაკუნობს და მუხლს მართავს.

ოდის გვერდით ჭრელი ფისო
დაატარებს ლამაზ კნუტებს,
ჭერს მერცხლებმა ჩაუქროლეს
და მონახეს იქვე ბუდე.

მშობლიური ქვეყნის ხილვამ
აუმღერათ ცქვიტებს გული,
აჭიკჭიკდნენ, მოგვესალმნენ,
დაგვიმშვენეს გაზაფხული.

სად იყავით, რა ნახეთ-თქო, —
მალხაზებმა ტკბილად ვკითხეთ.
დაისვენეს და ამბები
შორეული ქვეყნის გვითხრეს.

ფრთა ფრთას დაჰკრეს, შეტრიალდნენ,
თავს მოევლნენ ეზოს, ბაღჩას,
ინახულეს ველ-მინდვრები,
ჯეჯილების მწვანე ფარჩა.

გათბა მიწა, მზე სიცილით
მთის მწვერვალებს ხდის თეთრ ქუდებს,
გაზაფხულდა, და მერცხლებმა
მოაშურეს თავის ბუდეს.

დაჰხარიან, ამაგრებენ,
არ ედებათ თვალზე რული...
კვლავ დაჩეკენ ლამაზ ბარტყებს
და დაზრდიან სიყვარულით.

არ დავაფრთხობთ, გაიხარონ,
ვით სჩვევიათ, როგორც უნდათ.
ჩვენც მოვილხენთ, როცა ბარტყებს
ააფრენენ დროზე გუნდად.

გიორგი კაჭახიძე

თბილისის ქალთა მე-9 საშუალო სკოლის ძველი რუსი და საბჭოთა მხატვრების შემოქმედების შემსწავლელი წრის მეცადინეობაზე.

რაზმეულში მჩქეფარე საქმიანობაა

ყველა რაზმი გაეცნო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის დადგენილებას. გოგონებმა ცხარეთ იკამათეს ნაკლოვანებებზე, საქმიანი პრაქტიკული წინადადებანი წამოაყენეს. ამის შემდეგ უფროსმა პიონერხელმძღვანელმა არჩილ ჟღენტმა აქტივისტები შეკრიბა და ასე მიმართა:

— კიდევ უფრო ხალისიანი, მიმზიდველი უნდა გავხადოთ პიონერული მუშაობა ჩვენს სკოლაში. ამას მოითხოვს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის დადგენილება, ამაზე ლაპარაკობდნენ პიონერები შეკრებებზე. საჭიროა გავითვალისწინოთ მათი საქმიანი შენიშვნები. დღეს პიონერული მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე უნდა მოვითათბიროთ, გადავწყვიტოთ, რა ღონისძიებანი ჩავატაროთ ბავშვთა მხატვრული აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

პიონერები რიგრიგობით იღებდნენ სიტყვას, გამოთქვამდნენ თავიანთ სურვილებს, ამხანაგები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გულისნადებს.

— ყველა რაზმში უნდა სწავლობდნენ პიონერულ სიმღერებს. გარდა ამისა, რაზმეულის გუნდი ჩამოვაყალიბოთ, შევქმნათ სიმებიანი ინსტრუმენტების ანსამბლი, დრამატული წრე, უფრო ხშირად ჩავატაროთ ახალი სპექტაკლების, კინოსურათების, მუსიკალური და მხატვრული შემოქმედების ნიმუშების განხილვა. მოვაწყოთ რუსი და საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებთა შემსწავლელი წრის საღამო, ხელსაქმის წრეების წევრთა ნამუშევრების გამოფენა, — თქვეს გოგონებმა.

— საგაზაფხულო არდადეგების დღეებში შევაჯამოთ რაზმებსა და რგოლებში ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების გაშლისათვის ჩატარებული მუშაობის პირველი შედეგები, მოვაწყოთ „ზიდასასკოლო-პიონერული ოლიმპიადა, — შემოიტანა წინადადება რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ბელა მირიანაშვილმა.

გაიშალა მჩქეფარე საქმიანობა. პიონერები ამართლებენ თავიანთ სიტყვას. ახლა აქ ხშირად გაიგონებთ მუსიკის საამო ჰანგებს, წკრიალა პიონერულ სიმღერას. ნორჩი დეკლამატორები ახალ ლექსებს სწავლობენ, ოლიმპიადისათვის ამზადებენ მასობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკვებს, მხატვრულ მონტაჟებს, სპექტაკლებს. კოსტუმებით მათ ხელმარჯვეთა წრის წევრები უზრუნველყოფენ. დარბაზის მოწყობას, დეკორაციების გაკეთებას ნორჩი მხატვრები ხელმძღვანელობენ. ამასწინათ მოწყობილ თავიანთ საღამოზე მათ ხომ თვალნათლივ დაადასტურეს, როგორ დაეხვეწათ, გაუმდიდრდათ მხატვრული გემოვნება! მომხიბლავად იყო მორთული სკოლის დარბაზი. კედლებს ამშვენებდნენ რუს და საბჭოთა მხატვართა ნაწარმოებების რეპროდუქციები გარს შემოვლებული ნაირფერადი ყვავილებით, ნაძვის ხის ტოტებით. დიდი ადგილი ეკავათ თემებს „ლენინი და სტალინი საბჭოთა მხატვრების შემოქმედებაში", „ცხოვრება წინათ და ახლა". აქვე გამოფენილი იყო წიგნები მხატვრობაზე, კედლის გაზეთები, ალბომები. მხატვრობით გატაცებული გოგონები ნ. დოლიძე, ი. იაკობაშვილი, ნ. ბაბიცკაია და სხვები სტუმრებს აცნობდნენ გამოფენილ მასალას. ამ საღამოზე რამდენიმე საინტერესო რეფერატი იყო წაკითხული.

არანაკლებ მიმზიდველი და შინაარსიანი მოხსენებები წარმოადგინეს გოგონებმა რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში მათ მიერ მოწყობილ დისპუტზე. ყველა პიონერმა ნახა სპექტაკლი „გასტელო". სამშობლოსათვის თავდადებული გმირის სახემ აღაფრთოვანა გოგონები. ისინი გატაცებით მსჯელობდნენ სპექტაკლის შესახებ, იგონებდნენ თავიანთ საყვარელ გმირებს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სწორედ ამ სპექტაკლის განხილვა დიდ სარგებლობას მოუტანდა მათ.

დაუვიწყარია გოგონებისათვის საყვარელ თეატრში მოწყობილი ეს საღამო. დაუვიწყარია პიონერ მედეა ქურდიანის შინაარსიანი მოხსენება „შტოკის პიესა „გასტელოს" ანალიზი", ნელი ნაზარიანის — „გასტელოს სახე შპანოვის წიგნის „ცხოვრებისათვის" და შტოკის პიესა „გასტელოს" მიხედვით", ბელა მირიანაშვილის — „მეგობრობა პიესა „გასტელოს" მიხედვით" და ა. შ.

საღამოს შემდეგ მხატვრული განყოფილება მოეწყო, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ თბილისის ქალთა მე-9 საშუალო სკოლის ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის რაზმეულში ხალისიანი პიონერული ცხოვრება ჩქეფს. ხმაშეწყობილად, მიმზიდველად მღეროდნენ ნორჩი ლენინელები სიმღერებს დიდ სტალინზე, სამშობლოზე, საბჭოთა კავშირის გმირებზე. მოწაველეთა გუნდმა საერთო მოწონება დაიმსახურა. პატარა მომღერლები დეკლამატორებმა შესცვალეს, შემდეგ პიონერებმა მ. ქურდიანმა და გ. ალიხანოვამ გმირი კრასნოდონელებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს. დასასრულს მოსწავლეებმა წარმოადგინეს ნაწყვეტი პიესიდან „უმცროსი ვაჟიშვილის ქუჩა".

კმაყოფილნი, კიდევ უფრო მეტად ხალისიანი მოვიდნენ გოგონები მეორე დღეს სკოლაში. გულშიჩამწვდომმა საუბარმა საყვარელ გმირებზე გააძლიერა მათში მისწრაფება იყვნენ საბჭოთა სამშობლოს სახელოვანი შვილები, მომხიბლავად მოწყობილმა საღამომ გააღვივა ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობის სურვილი.

ახალი ძალით გაიშალა მუშაობა რგოლებსა და რაზმებში. ბეჯით სწავლასთან ერთად პიონერები შეუდგნენ გაცხოველებულ მზადებას შიდასასკოლო-პიონერული ოლიმპიადისათვის. მათთვის კარგა ხანია ცნობილია რაზმეულის საბჭოს მიერ დადგენილი წესი: ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყოველ პიონერს, რომელიც არ ჩამორჩება სწავლაში, რაზმებს უფლება აქვთ ჟიურის წარუდგინონ, როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური შემსრულებლები. დათვალიერება ჯერ რგოლებში მოეწყო, შემდეგ რაზმებში. მრავალფეროვანია ნორჩ შემოქმედთა რეპერტუარი. მასში შედის მხატვრული მონტაჟები „კომუნიზმის დიადი მშენებლობანი", „წელიწადის ოთხი დრო", ა. პუშკინის ზღაპრების ინსცენირება, მხატვრული ტანვარჯიში, გუნდური სიმღერები, მასობრივი ცეკვები და ა. შ.

ვინ გაიმარჯვებს, რომელი რაზმი ისახელებს თავს! აი რა აღელვებთ ახლა ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის რაზმეულის პიონერებს.

მშვენივრად მღერის ი. ალავიძე, მაგრამ მას როდი ჩამოუვარდება ი. ძებისაშვილი ან ნ. ცომაია; ნ. მიხაილოვა ოსტატურად უკრავს გიტარაზე, მ. ტოვმასიანი ჩინებული დეკლამატორია. და განა მარტო ესენი! თბილისის ქალთა მე-9 საშუალო სკოლის ყველა პიონერს შეაყვარეს მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, მხატვრული კითხვა, ხატვა. ისინი ხალისით ეცნობიან მშობლიური საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგის გრანდიოზულ მიღწევებს.

ი. მესხიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზვერავი კიმ ენ ვანი

დავით გაჩეჩილაძე

მხატვარი ა. ბანძელაძე

პ ო ე მ ა

I

მამაცთა შორის მამაცი,
განთქმული პარტიზანი,
ჯერ თერთმეტი წლის ბიჭია
პატარა კიმ-ენ-ვანი.
შორსაა მისი სამშობლო,
გაღმა ყვითელი ზღვისა;
იქ მთები არის ალმასის,[1]
ველები ზურმუხტისა.
ცას ეფინება რიურაკი,
როგორც წითელი ფარჩა,
ბრინჯის ტბორიან ყანაში
დგას ნაცრისფერი ყანჩა.
ველზე მიელავს მდინარე
და ისე წყნარად შხუის,
თითქოს გაისმის შრიალი
უნაზეს აბრეშუმის.
ჰო, ეს სიჩუმის მხარეა,
და მასაც გეტყვით ბარემ,
რატომ დაერქვა კორეას
დილის სიჩუმის მხარე:[2]
როცა ამოვა მზე დილით,
თურმე ჩუმდება ქარი,
და მთელ კორეას მოიცავს
დუმილი საოცარი.
არ ჭიკჭიკებენ ჩიტები,
ხენი უძრავად დგანან.
რა საკვირველი წუთია!
რა დიდებული თანაც!
ლურჯად ლივლივებს ლაჟვარდი
ზღვიდან ნისლიან მთამდე,
თვალს და გონებას იტაცებს
ბუნების სიდიადე.
მაგრამ ამაზე დიადი
არის სინათლე წმინდა:
ოდეს მთას მორანბონისა[3]
მზე დააშუქებს ციდან,
იქ ობელისკი მარმარის
მწვერვალზე გაბრწყინდება,
ზედ სახელია სტალინის,
კორეის გამარჯვება.

* * *

ჰოდა სიჩუმის მხარეში
დღეს გმირად იქცა ბავშვიც...
ის ახლა პარტიზანებთან
დადის მთასა და ბარში.
ჭირი და ლხინი რაზმელთა
ძმურად გაიყო მანაც,
შიგ წყალში გადავარდება,
თუ მეთაურმა ბრძანა.
ვთქვათ და მზვერავად გზავნიან, —
არც შეფიქრდება წუთით,
სოფელ-ქვეყანას დაივლის,
უჩინმაჩინის ქუდი,
მაგრამ თუ ხაქმე არა აქვს,
თავჩაღუნული დადის,
ბავშვის სახეზე ღიმილიც
ამსახველია დარდის.
მოიკეცება, ჩაჯდება,
თავს მწუხარებით დახრის,
იგონებს, როცა მწყესავდა
ხანგანის[4] პირას ნახირს.
ო, რა სიამით უკრავდა
ბამბუკის საპიპინოს...
თუ გული ხარობს, ილხინე,
დე, მტერმა მოიწყინოს.
საღამოზე კი მოსდევდა
ნახირს სოფლისკენ ცეკვით;
ხან მამალივით ყიოდა,
ხან ყეფდა, როგორც ლეკვი.
ყივილს იწყებდნენ მამლები
ბავშვის ყივილის ხმაზე,
აქეთ-იქიდან ძაღლებიც
აყეფდებოდნენ წამსვე.
— ერთი გახედეთ, — ისმოდა, —
ალქაჯს ნახირი მოჰყავს,
და ყველა ჭიშკარს უღებდა
თავის ხარსა თუ ძროხას.
და როცა ნახირს მთლიანად
დაარიგებდა წესით,
წამსვე შინისკენ გასწევდა
გულმხიარული მწყემსი.
მიდიოდა და უკრავდა
ბამბუკის საპიპინოს.
სუფრას გაუშლის დედიკო,
დაჯდეს და მოილხინოს.
მის მარჯვნივ თვითონ დაწვება,
მარცხნივ უმცროსი და-ძმა,
დედიკოც ზღაპრებს მოყვება,
იქნებ ჩათვლიმოს ანცმა....
ბიჭიც თბილ მკერდზე მიეკვრის
თავის საყვარელ დედას...
ახლა სად არის დედიკო,
მხოლოდ სიზმარში ხედავს!

* * *

ერთხელ, როდესაც შებინდდა
და მთვარეც ამოვიდა,
შინ ბრუნდებოდა ნახირით
ბიჭუნა საძოვრიდან.
სოფელს რომ მიუახლოვდა,
შედგა, შეძრწუნდა ერთობ:
ზეცას ალმური სწვდებოდა,
სოფლად ხანძარი ენთო...
შედგნენ ძროხებიც, ხარებიც,
სოფელი ვეღარ იცნეს,
და მერე მწარედ გაპბღავლეს
კვამლით დაბურულ სივრცეს.
ბღავილის გაგონებაზე
სადღაც აყმუვლდა ძაღლი,
თითქოს მათ უბედურება
მიუსამძიმრა ნაღვლით...

* * *

ბიჭი სოფელში შევარდა,
ო, როგორ გარბის, ღელავს...
იქნებ ცოცხლები არიან,
იქნებ ითხოვენ შველას...
კვამლის ღრუბლებში შეიჭრა
აგერ პატარა მწყემსი,
ეს თვითონ ამოიკვნესა,
თუ სხვისი გმინვა ესმის?
ჰა, თავის ქოხთან შეჩერდა,
ქოხთან კი არა, ცეცხლთან...
განა ის ქოხი ეს არის?
იქნებ სიჩქარით შეცდა...
არა, ნამდვილად ის არი...
კიმს თვალი დაუბნელდა...
ეზოს გაღებულ ჭიშკარში
არ შეეგება დედა...
აღარც უმცროსი და-ძმა ჩანს,
ნაკვერცხლებია მხოლოდ.
ნუთუ არავინ გადარჩა,
ცეცხლმა მოუღო ბოლო!

[1] ალმასის მთები—კორეის აღმოსავლეთ ნაწილშია, იაპონიის ზღვასთან.

[2] სიჩუმის მხარე—ყველა ენციკლოპედიაში კორეა მოიხსენება, როგორც დილის სიჩუმის ქვეყანა.

[3] მორანბონი — მთა ფხენიანთან, რომელზეც აღმართულია დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ობელისკი.

[4] ხანგანი — მდინარეა კორეაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაიქეცი, ბიუო, გაიქეცი! —
ნეტავ ვინ უთხრა ასე?
მოხუცი პაკ-ენ-ბოკია,
ხელი დაადო მხარზე:
— ვიცი, გზას კპოვებ, მარჯვე
ხარ, —
თანაც ხმა დაიმდაბლა, —
თორემ თუ თვალი შეგასწრეს,
აქვე მოგკლავენ ალბათ...
და ბიუმა გამშრალ თვალებით
პაკ-ენ-ბოკს ამოჰხედა:
— თუ იცით, ახლა სად არის
ჩემი და-ძმა და დედა?
— არ ვიცი, — უთხრა მოხუცმა, —
შეილო, მეც ამას ვდარდობ...
გაულიტეს მთელი სოფელი
და მე გადავრჩი მარტო.
ო, როგორ ზარავთ ჯალათებს
წითლების მოსვლის შიში...
დაგვბომბეს თვითმფრინავებმა,
იყო ვაი და ვიშო...
როცა ისინი გაფრინდნენ,
უცებ მოშავდა ჯარიც;
გვძარცვეს, გვაწამეს, დაგვხოცეს,
გვადინეს სისხლის ღვარი...
თქვა და ჭადარა წამწამი
დახარა ისე წყნარად,
თითქოს ორ ჩამქრალ ნაკვერცხალს
ზედ ფერფლი დაეყარა.
და მაშინ მიხვდა ბიუონა,
რა თქვა მოხუცმა კაცმა:
აღარ ჰყავს ტკბილი დედიკო,
აღარც პატარა და-ძმა...
ეჰა, შვიდობით, ბავშვობავ,
თამაშობავ და ლხინო!
და ბიუმა ცეცხლში შესტყორცნა
ბამბუკის საპიპინო.
წამსვე აინთო, დაიწვა,
აღარ ეღირსოს დაკვრა.
სიხარული და სიმღერა
თვალს და ხელს შუა გაქრა.
მერე გაშორდა პაკ-ენ-ბოკს,
მიდის გონდაკარგული...
რა დიდი შურისძიება
მიაქვს პატარა გულით!

* * *

მიდის პატარა ბიუონა,
ნეტავ საითკენ მიდის?
ფეხებს უსველებს ბალახი
ახლად დანამულ მინდვრის.
და აი, მინდვრის ბოლოში
რაღაც სინათლეს ხედავს:
კოცონთან ამერიკელი
ჯარისკაცები სხედან.
ფიქვის ხეებქვეშ ბზინავენ
ტანკები ვეებერთელა...
მათმა კოლონამ კორეის
მთა-ბარი გადათელა.
იქვე აწყვია თოფები,
დინჯად გუშაგი დადის.



ცეცხლთან დევს თავი ძროხისა,
ისმის შიშინი მწვადის.
კორეავ, ტურფა, კორეავ!
ეაი, რა დაგემართა!
ღრეობენ კაცისმკვლელები
ზედ შენი სახლის კართან...
ლუდით ავსებულ მათარას
ხარბად, ზედიზედ ცლიან.
ბიუმა ქვა ხელში აიღო,
სიბრაზეს ველარ სძლია...
იქნებ მათ შორის ნადიმობს
მისი დედიკოს მკვლელიც...
მაგრამ მყის გადაიფიქრა
და ძირს დაუშვა ხელი.
ჭკვიანი არის, ერთი ქვით
რამეს გახდება განა?
ტანზე იარაღს აისხამს
და წავა პარტიზანად.
მერე მტერს მოევლინება
შურისძიების რისხვად...
დე, გაეთხაროს სამარედ
მათ მიწა კორეისა.

* * *

უკვე ტყეშია ბიუონა,
ძლიეს მიაღწია მთამდის.
მწვანე ტოტებში ჭიატობს
სინათლე განთიადის.
ჯერ კიდევ ხეზე ჩიტუნებს
ფრთადაკეცილებს სძინავთ.
ეს შავი მთაა განთქმული
პარტიზანების ბინად.
მთვარეა მათი ლამპარი,
ტყე დაბურული — სახლი,
მიდის, და გზაში უეცრად
შემოეფეთა ძაღლი.
პირველად მგელი ეგონა,
ძაღლია ხარის ტოლა;
ჩაუარა და მობრუნდა,
ბიუს თვალი გააყოლა...
და როცა ბიუიც ძაღლისკენ
მიბრუნდა ერთი წუთით,
თითქოს იამა, ბამბურამ
შეათამაშა კუდი.
მერე ნაბიჯიც გადმოდგა,
მოიზმორება ზანტად;
თან ნაღვლიანი თვალები
ბიუუნას შეანათა,
ბიუმა ბამბურას დახედა
და მოეწონა მეტად:
— ბამბურავ, კარგო ბამბურავ!
შენ აქ რა გინდა ნეტავ?
ანდა ყურები ვინ დაგჭრა?
ეს რა უქნია ულვთოს...
ტორებზე შედგა ბამბურა,
უნდა ბიუს აეხუტოს...
ღრმად ჩასცვენოდა ფერდები,
ნაშიმშილარი ჩანდა.
და წამსვე გახსნა ბიუუნამ
მწყემსის საველე ჩანთა:
პური აიღო, გატეხა,
ბამბურას უთავაზა.
ბამბურამ პური შეულაპა
და ბიუს შეხედა ნაზად...
— ჩემო ბამბურავ, — ბიუუნაც
ალერსით დაიცქერდა, —
ჩემსავით უსახლკარო ხარ,
მოდი, ვიაროთ ერთად...
ძაღლიც მის ფეხთან განირთხა,
ლოკაღს, ალერსი უნდა,
მაგრამ უეცრად წამოხტა,
აყმუვლდა, აწკმუტუნდა,
მერე ფეხები იშვირა
და ჯაგნარში ჰკრა თავი.
ლურჯი ტყის ზემოთ ლაჟვარდზე
მოქროდა თვითმფრინავი...
დაშინებული ძაღლია,
ალბათ თვითმფრინავს უფრთხის.
თოფებმა ჭექეს, შეირხა
მძიმე დუმილი ყრუ მთის.
ჩანს, იმ თვითმფრინავს ესროლეს,

ვინ იქნებიან ნეტავ?
და თვალზე ხელის მოჩრდილვით
ბიჭმა შორს გაიხედა.
პარტიზანები არიან,
დიახ, ისინი სწორედ...
ასეთ ვაჟკაცებს, მკითხველნო,
ვიცით, თქვენც მოიწონებთ.
მხრებგამართული რაზმელნი
მოისწრაფვიან ერთად,
და ჩვენს პატარა ბიჭუნას
ტყეში წააწყდნენ ბედად.
მყის მეთაური შეჩერდა
პარტიზანული რაზმის...
ხელყუმბარები წელზე აქვს,
მკერდზე ფალასკა ვაზნის...
ო, რა მრისხანე სახე აქვს,
თუმც, რომ იხილა ბავშვი,
სიამის შუქი გამოკრთა
ვიწროდ გახელილ თვალში.
— ბიჭო, საიდან მოსულხარ? —
ბავშვს გაუღიმა თანაც.
კიმი ათრთოლდა.
— ბიძია, მიმიღეთ პარტიზანად...
— ეს ციცქნა ბავშვი რას ამბობს?—
ატყდა ხარხარი წამსვე,
მეთაურმა კი პატარას
ხელი დაადო მხარზე:
— შენ პატარა ხარ, ბიჭუნავ.
ჯერ უნდა გაიზარდო.
ჩვენ მეომარი გვჭირდება
გამბედავი და სანდო.
მაინც რა იცი?

—რა ვიცი?!
კიმი დაალებს ხახას:
— მწყემსობა ვიცი...
—კარგია,
მაგრამ ნახირი არ გვყავს.
— კიდევ რა იცი?
— რა ვიცი?
თქვა ბიჭმა ჩაფიქრებით:
— მთის გზები ვიცი...
— კარგია, მაგრამ ჩვენც ვიცით
გზები.
სხვა რამე იცი? —
ბიჭუნამ აქ მოიფხანა კეფა,
მერე ლუღლუღით წარმოთქვა:
— თუ გინდათ, ვიცი ყეფა...
— ყეფა?
—ჰო, ყეფა...—
მეთაურს რიდით შეხედა კიმმა.
გარშემო ატყდა ხარხარი,
მეთაურს გაეღიმა,
და ყურებამდე გაწითლდა
ბიჭუნა საცოდავი:
—ხულ მამალივით ყივის...
თვით მეთაურიც გულდინჯი
ველარ იკავებს ღიმილს.
და ბოლოს მორთო ჩხავილიც
მშიერი ყვავის მსგავსად.
ასეთი მხიარულება
არ მოსწრებია მთასა:
აზავთდა სიცილ-ხარხარი,
მათ ბანს აძლევდა ტყეცა...
მაგრამ რა მოხდა? ბიჭუნა
ბარბაცით ჩაიკეცა.
ჩაიკეცა და ატირდა,
უსიტყვოდ აზლუქუნდა;
მიცვივდნენ პარტიზანები,
გარს შემოერტყნენ გუნდად.
კიმს მეთაურიც მივარდა

„ეს რა სიბრიყვე წარმოვთქვი,
ხომ შევირცხვინე თავი?“
მეთაური კი სხვას ფიქრობს,
ბიჭუნა დაამშვიდა:
— მოდი და ბარემ დაჰყეფე,
ერთი გავსინჯო მინდა.
ბიჭმა დაჰყეფა და ეს ხმა
ლეკვის ხმას ისე ჰგავდა,
რომ შიშით ხიდან ყორანი
კინაღამ ჩამოვარდა.
ატეხეს ერთი ხარხარი:
— ეს ვინ ყოფილა, ხალხო!
აქედან როგორ გავუშვებთ,
დე, ჩვენთან დავასახლოთ.
ბიჭს მეთაურმაც ლოყაზე
მოუცაცუნა ხელი:
— რა მაქვი ვინმე ყოფილხარ,
ნიჭი გაქვს საკვირველი!
ახლა კი ბიჭმა ამაყად
მაღლა ასწია თავი:
— გინდ მამალივით ვიყივლებ,
ვიჩხავლებ, როგორც ყვავი...
და მერე მოულოდნელად
ისე გაჰყივლა მთაში,
რომ თვალწინ წარმოესახათ
ხასხასა გარიურაუი.
კვლავ ახარხარდნენ ყველანი:
და ხელში აიყვანა:
—მითხარ, რა მოგდის, ბიჭუნავ!?—
გულში იხუტებს თანაც.
ცრემლები ახრჩობს ბიჭუნას
და სიტყვა ძლივსღა დაძრა:
— მე გუშინ... დედა მომიკლეს...
გუშინ... მომიკლეს და-ძმა...
დადუმდნენ პარტიზანები,
მყის მოიხადეს ქუდი:
მოკლულთა პატივსაცემად
აღნიშნეს გლოვის წუთი.
აქ მეთაურსაც კინაღამ
ცრემლი მოადგა თვალზე,
დაბლა ჩამოსვა ბიჭუნა
და მერე უთხრა ასე:
— ჩვენ შურს ვიძიებთ,
ნუ სტირი,
დღეს შენ ხარ პარტიზანი...
თუ გინდა, დღესვე, საღამოს,
მზვერავად გაგაგზავნი.
ამერიკელებს თუ შეხვდე,
ჩხავილს გასცინებ ყვავსა,
ლისინმანელთა ხილვისას
დაჰყეფე ძაღლის მსგავსად.
ხოლო თუ აღალს წააწყდე,
გაჰყივლე მამალივით.
შენ მეწინავე იქნები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ახლომახლო ვივლიან.
ჰო, მეწინავე იქნები,
შენი პაროლი გვინდა.
მოგწონს?
— ჰო, მომწონს, — პატარამ
ცრემლები მოიწმინდა.
მან ყველაფერი გაიგო,
რაც მეთაურმა ბრძანა,
და მეთაურმაც ბიჭუნა
ჩაწერა პარტიზანად.

* * *

განა უბრალო საქმეა, —
კიმი მზვერავი გახლავთ!
ხან თუ ქალაქში სეირნობს,
ხანაც სოფელში ნახავთ.
ცეცხლში შევა და მოგიტანთ,
თუ რამე ცნობა გინდათ.
მტერს შორიდანვე შეიცნობს,
ოღონდ გამოჩნდეს ბინდად.
აგერ, ბუჩქნარში ჩამჯდარმა,
აღალი დაინახა,
დაიყივლა და რაზმელნი
უცებ დაესხნენ აღალს.
მოდიან ამერიკელნი,
ჩანს თავი გაუწერავთ:
დაიჩხავლა და ნისლიდან
მოდის ტყვიების წვიმა.
ხევში დაფის ხმა გაისმა
ლისინმანელთა ჯარის, —
დაჰყეფა — ატყდა ქუხილი,
იყო და აღარ არის.
და შეუყვარდათ რაზმელებს
ეგზომ გულადი ბავშვი,
ხელსაც არ ამოისვამდნენ,
რომ ჩავარდნოდათ თვალში.

* * *

მთიდან დაეშვა ბიჭუნა,
გზას ბოლო აღარ უჩანს,
და აი, ხედავს მინდორში
რალაც საეჭვო ბუჩქნარს.
შემოსჭკნობია ფოთლები
უშნოდ გაშვერილ შტოებს,
გვალვით გამხმარი ბუჩქნარის
შთაბეჭდილებას სტოვებს.
აი, პატარა მზვერავმა
აღმოაჩინა ილბლად:
ქვემეხები და ტანკები
მტრებს მწვანედ შეუნიღბავთ.
აქ საჭიროა სიზუსტე,
არ კმარა მარტო ეჭვი,
და გამჭკნარ შტოზე ბეღურას
ბიჭუნამ სტყორცნა კენჭი.
ჩიტი აფრინდა, ფოლადმა
წკრიალი გამოიღო...
ვერ შეამჩნია, მახლობლად
თურმე გუშაგი იყო.
თოფი გავარდა, მისცვივდნენ,
კისერში სტაცეს ხელი,
და წარუდგინეს პოლკოვნიკს
პატარა კორეელი.

რბილ სავარძელში, კარავში
ზის პოლკოვნიკი კუშტი...
თუ კორეელი უხსენეს,
წამსვე მზადა აქვს მუშტი.
— გატყდი, აქ რისთვის მოსულხარ,
ამ ცხარე ომის დროსა? —
ბიჭს კორეულად უთარგმნის
ლისინმანელი ქოსა;
თარჯიმანს ამერიკული
ძველი მუნდირი მოსავს.
— რად და პურს ვითხოვ, ბატონო,
ცხოვრება ძალზე გვიჭირს...
თითქოს სიმართლეს მოჰგავდა
სიტყვა გონიერ ბიჭის.
— არა, ბატონო, — გუშაგი
პოლკოვნიკს უპატაკებს:
— კენჭების სროლითი სინჯავდა
იმ ჩვენს შენიღბულ ტანკებს.
— რაო? — პოლკოვნიკს სახეზე
სიფითრემ გადუარა:
— ჰო, თუ ტანკები შენიშნა,
დანაშაულად კმარა.
თავზე თმაც წამოეშალა,
როგორც ეკლები ზღარბის,
მაგრამ პატარა ვაჟკაცმა
არ შეიხარა წარბიც.
დგას და პოლკოვნიკს შეჰყურებს,
გულმართლად ელიმება,
თითქოს არც ესმის პატარას,
აქ რა ამბავიც ხდება...
პოლკოვნიკს მდაბლად წარუდგა
ლისინმანელი ქოსა,
ამერიკული მუნდირი
განა ტყუილად მოსავს?
— ამ ძალლებს ვიცნობ, ბატონო,
დიდი აქვთ სითამამე.
სიამტკბილობა ჯობია,
იქნებ დავტყუოთ რამე.
და პოლკოვნიკიც ვითომდა
დაცხრა, დამშვიდდა წამსვე,
ბავშვს თავზე ხელი გადუსვა
და შეეკითხა ასე:
— მამა გყავს?
— არა, ბატონო, —
ბიჭმა მოუჭრა მოკლედ:
— შარშანწინ ლისინმანელმ:
ჩაფრებმა გზაში მოკლეს...
— დედა?
— არც დედა... — თვალებში
მოჩანს უძირო სევდა.
— თქვენმა ჯარებმა დახოცეს
ჩემი და-ძმა და დედა.
— ჩვენმა ჯარებმა? — პოლკოვნიკს
ძალზე ეწყინა თითქოს:
ცხადია, მტერი გვეზრდება...
წარბშეჭმუხვნილი ფიქრობს...
— ჰოდა, ობოლი ყოფილხარ,
ჩემო პატარა ბიჭო!
ნუ სწუხარ, ჩვენ გიპატრონებთ,
ჩვენთან ცხოვრება გიჯობს.
ამერიკაში წაგიყვანთ,

ის თქვენს კორეას არ ჰგავს;
შეგიოსავთ, როგორც პეპელას,
გაკმევთ თაფლსა და შაქარს.
ოღონდ გამოტყდი, ბედსა გწვავ,
თუ სიტყვას მეტყვი სწორსა...
„გატყდიო“, — თვალით ანიშნებს
ლისინმანელი ქოსა.
ბიჭი დუმს: რა ქნას, იბრძოლოს,
თუ თავი შეაბრალოს?
ეჰ, შორს არიან რაზმელნი,
ვერ გააგონებს პაროლს.
— მაინც რას. ითხოვთ? —
პოლკოვნიკს
კიმმა მიმართა წყნარად...
და პოლკოვნიკიც ღიმილით
ბავშვისკენ დაიხარა:
— თქვი, ხომ ზვერავდი, ბიჭიკო? —
წამით ჩაფიქრდა ბავშვი:
— დიახ, ვზვერავდი, ბატონო,
კენჭიც მოვარტყი ფრთაში... —
აღტაცებისგან პოლკოვნიკს
თვალები გაუბრწყინდა:
—მაგრამ ვინ გამოგაგზავნა?
ამის გაგებაც გვინდა.
— არავინ, ჩიტი გაფრინდა,
კენჭი ვერაფერს გახდა... —
ამას რას ამბობს ბიჭუნა?
ყველანი დარჩნენ სახტად...
ეგონათ, თითქოს გამოტყდა,
ეს კი სხვა რამეს ჰყვება,
და მის სახეზეც ნათლად ჩანს
მტრისადმი მძულვარება:
„თქვენ გმართებთ სისხლი ალალი
ჩემი დედ-მამის, და-ძმის,
და ახლა გინდათ გაყლიტოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიზანელთა რაზმიც?
ჰე, ვერ მოგართვით, ბიძია...
კიმი ვაუკაცი გახლავთ" —
გაიფიქრა და ამაყად
თავი ასწია მაღლა.
რამდენი სცემეს პატარას,
გმირი გატყდება განა?
და პოლკოვნიკმა პირქუშად
მისი დახვრეტა ბრძანა.
ბიუნავ, კარგო ბიუნავ!
ვაი, რა დაგემართა?!
რად მოგიყვანეს მკვლელებმა
მდორე ხანგანის წყალთან?
ვის გაუთხრია მინდორში
შენთვის სამარე კრული?
ჩიტები ბელტებს კენკავდნენ,
აფრინდნენ ყრიამულით.
აქეთ წყალია, იქით ტყე,
ირგვლივ არავინ არ ჩანს...
ცამეტი თოფის პირისპირ
ბიკი მარტოკა დარჩა.
ცამეტი მკვლელის პირისპირ
მხოლოდ ის არის ერთი...
გამცემი ლისინმანელი
პოლკოვნიკს უდგას გვერდით.
სიტყვასაც ეტყვის ხანდახან,
ვითომდა არაფერი...
სადღაც ყორანი ყრანტალებს
დილაა ბინდისფერი.
განა ეს სინამდვილეა,
თუ სიზმარს ხედავს ბიკი?
— ჰეი, აქ მოდი, დაგმალავ
ტყიდან რტოს უქნევს ფიქვი.
წყნარად ჩურჩულებს ნიავი:
— თან გამომყევი, თორემ
ვერ გადარჩები... მოგკლავენ..
ოხრავს ხანგანიც მდორე:
— ჩქარა, ჩემ წყალში ჩამოხტი,
შორს გაგაქანებ ტალღით...
გახსოვს? რამდენჯერ გამცურე,
განა დაგახრჩვე ბალღი?—
ბიკს სიცოცხლისკენ ეძახის
რიყრაკი, მთა და ველი,
წინ კი ცამეტი თოფია,
ცამეტი კაცისმკვლელი.
რა არ იფიქრა ბიკუნამ,
არა, საშველი არ ჩანს...
გაიქცეს? ზურგში ესვრიან,
მოჰკლავენ, როგორც ლაჩარს
განა მას ეთქმის გმირობა,
ვინც ტყვიას შეუშინდა?
სამშობლოსათვის ვაუკაცი
სიკვდილს შეხვდება მშვიდად.
აქეთ წყალია, იქით — ტყე,
უკან — სამარე ბნელი;
დგას თავდახრილი საფლავთან
პატარა კორეელი.
ჰა, პოლკოვნიკი დაიძრა,
წინ ბიჯი წადგა ნელა.
მარჯვენა ხელი ასწია,
თოფიც ასწია ყველამ.

მის გაქვავებულ სახეზე
წამწამის ღერიც არ თრთის,
კიდევ წამი და... მიდამოს
შესძრავს ქუხილი ბათქის..
სულ ერთი ხელის დაქნევა
და გათავდება ბალღი...
შორს ცის ნაპირი ბნელდება,
თუ იმოსება თალხით?
მაგრამ პოლკოვნიკს რა მოსდის?
შიშისგან გააყრუოლა:
მას გვერდი გაკკრა უეცრად
ცხოველმა ხარის ტოლამ;
პირდაპირ ბიკთან მიიკრა,
ზეეტორნა გულზე...
გაოგნებული ბიკუნა
ნაცნობ ბამბურას უმზერს..
ჩანს, აქვე ეხეტებოდა
საკბილოს საძებრადა,
და როცა ბიკი შეიცნო,
შავ ტყიდან გამოვარდა.
ძაღლი ეხვევა პატარას,
გულკეთილი და ნაზი,
და ბიკს სახეზე გადუვლის
შუქი ღიმილის მსგავსი...
— ხომ ხედავ, მკლავენ,
ბამბურავ...—
უთხრა ისეთი სევდით,
რომ თვით ბამბურამ შეიგრძნო
საბრალო ბიკის ბედი.
გარშემო უვლის, წკმუტუნებს,
ლოკავს, ალერსით ყნოსავს,
და ჩუმად ეტყვის პოლკოვნიკს
ლისინმანელი ქოსა:
— ო, ჩემო დიდო ბატონო,
ყველაფერს მივხვდი ახლა:
მე ეს ნაგაზი შევიცან
პარტიზანების ძაღლად.
ჩვენ მათ ბუნაგთან მიგვიყვანს
სწორედ ამ ძაღლის კვალი,
და ეშმაკურად ჩაუკრა
ქოსამ პოლკოვნიკს თვალი.
დუმს პოლკოვნიკი, ბიკუნას
ისევ ეხვევა ძაღლი...
ბიკი რომ მოკლან, საფლავზე
ძაღლიც მოკვდება ნაღვლით...
და პოლკოვნიკი ბრძანებით
ჯალათებს მიუბრუნდა:
— ახლავ გაუშვით ტუსაღი,
იაროს, როგორც უნდა! —
თითქოს უბეში ჩიტი ჰყავს,
ფრთხიალებს ბავშვის გული...
ხელებზე მოხსნეს ბიკუნას
ბაწარი ჩანასკვული.
მერე დაეწყვნენ, წავიდნენ,
მათი ნიშანიც არ ჩანს...
ჩვენს ბიკუნასთან, ტყის პირას,
მხოლოდ ბამბურა დარჩა.

* * *

გაოცებულმა ბიკუნამ
თვალები მოიფშვნიტა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის წინ ბამბურა ძაღლია
და კუდს აქანებს მშვიდად.
ცაში კაშკაშა მზე არის,
ყვავილობს მთა და ველი...
რამდენი ჩიტი ყოფილა,
რამდენი მგალობელი?
რად არ ესმოდა მათი ხმა
სულ სამი წუთის წინათ?
რად ვერ ხედავდა მზის ნათელს
ჩამოსულს ოქროს წვიმად?
სწყურია, როგორ სწყურია...
წყურვილს ჩვეულსა არ ჰგავს.
ხევში ბარბაცით ჩავიდა
და დაეწაფა ხანგას.
წყალი სახეზე შეისხა,
გულზეც იპკურა პეშვით,
სული მოითქვა, გაფხიზლდა
და გაიმართა მხრებში.
რიყეზე იჯდა ბამბურა,
იქვე, ბიჭუნას ახლოს.
ძაღლს გაუცინა ალერსით:
— პო, ჩემო კარგო ძაღლო!
ჩემგან რა გახსოვს სიკეთე,
პურის ნატეხის გარდა?
ნუგეშად გამომეცხადე,
როცა ჯალათი მკლავდა.
მოდი და ერთად ვიაროთ,
ძეირფასო მეგობარო.
მტრის სათნოება არ მჯერა,
ჩქარა თვალს მივეფაროთ.—
უთხრა და ბილიკს დაადგა,
ძაღლიც ძუნძულით მისდევს.
გალიეს ბრინჯის ყანები,
გადაურბინეს მინდვრებს.

აქ რომ გგონია, იქ არის
ძაღლთან ბიჭუნაც მარდი;
აი, ულრანშიც შევიდნენ,
ცოტაღა დარჩა მთამდის...
და უცებ შედგა ბამბურა,
ფერდობზე გადიხედა...
ბიჭუნაც შედგა: ნისლია
და წვეროები ხეთა...
ბნოლოდ დამღრთხალი ჩიტები

ერთგან აფრინდნენ გუნდად.
სადღაც ბურტყუნიც გაისმა,
ფოთოლიც გაფაჩუნდა.
არა, ბამბურა არ სტყუის,
უცდომლად მოიყნოსა:
აგერ ჯაგნარში გამოჩნდა
ლისინმანელი ქოსა...
თვით პოლკოვნიკიც ქოშინით
აღმართზე მოიჩქარის...
რაღა თქმა უნდა, თან მოქაცვთ
ამერიკული ჯარიც.
ფრთხილად, მალულად მოდიან...
შედგნენ, ხმაურიც მიწყდა.
და იდუმალმა სიჩუმემ
მოიცვა ტყე და მიწა...
— მიგიხვდით, რადაც გამიშვით...—
ბიჭუნას ჩაეცინა,
— გინდათ ჩემს კვალზე იპოვნოთ
პარტიზანების ბინა...—
კლდეზე შეცოცდა, გაზომა
თვალით მანძილი მთამდის...
ახლოს არიან, ლაჟვარდზე
კვამლი ნისლივით ადის.
ბიჭმა ხმამაღლა გასჩხავლა
მშიერი ყვავის მსგავსად,—
და მთიდან რაღაც დაიძრა...
ჰე, გზა მიეცით ზვავსა!
ზვავი კი არა, ხალხია,
აზავთებული რისხვად,
თვით შურისგებამ შავარდნის
სწრაფი ფრთა გამოიხსა...
მოფრინდნენ პარტიზანები,
ოვალი ნაპერწკლებს ყრიდა..
ო, დიდხანს, დიდხანს ისმოდა
ჭექა-ქუხილი ტყიდან...
დალეწეს მტერი მზაკვარი,
ვეღარ გაბედავს მოსვლას...
იქ პოლკოვნიკთან შეიპყრეს
ლისინმანელი ქოსაც.
ბოლოს, როდესაც გაფანტა
ქარმა კვამლი და ბური,
გამოჩნდა: გულში იკრავდა
ბიჭუნას მეთაური.



ოსტატობის კანდიდატის თ. გიორგაძის რედაქციით

საინტერესო ეტიუდი

ვ. და ძ. პლატოვები (მოსკოვი)



თეთრები იწყებენ და იგებენ.

სწორად ამოხსნეს

ჟურნალ „ბაონერის“ გასული წლის მე-10 ნომერში გამოქვეყნებული „საჰადრაკო ლეგენდა“ სწორად ამოხსნეს: ე. აბაშიძემ (თბილისი, ქალთა მე-5 საშუალო სკოლა), ზ. ფრუიძემ (ქუთაისი, ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლა), გ. ნიკოლაიშვილმა (ლანჩხუთის რაიონი, სოფ. ჩიბათის საშუალო სკოლა) და გ. ამირხანოვმა (ხაშურის რაიონი, სოფ. ზემო ოსიაურის საშუალო სკოლა). საჰადრაკო ლეგენდის პასუხებია:

ამოცანა № 1 თეთრები: მფ5, ეგ7, მe1 პ ბი : g2, h2 (5), შავები მფh5 კf2 პ-ბი : d3, h6 (4)

შაჰათი სამ სვლაში 1. ე : g3 კ : g3 2. მf3 და 3. g4× 1. ... კ : e1 2 ეh3+ კh4 3. g4×.

ამოცანა № 2 თეთრები: მფ5, ეგ7 პ-ბი: g2, h2, (4) შავები: მფh5, კf2 პ-ბი g3, h6 (4).

შამათი ოთხ სვლაში: 1. hg კe3 2. ეg4 კg5 3. ეh1+ კ : h4 4 g4×.

ამოცანა № 3 თეთრები: მფ5, ეგ7 პ. g2 (3) შავები მფh5, კf2, პ-ბი g3, h6 (4).

შამათი ხუთ სვლაში: 1. ეb7 კe3 2 ეb1 კg5 3. ეh1+ კh4 4. ეh2 gh 5 g4×. 1. ... კg1 2. ეb1 კh2 3. ეe1 მფh4 4 მფg6 და 5. ეe4×

ამოცანა № 4. თეთრები: მფ5, მe1 პ-ბი g2, h2 (4) შავები: მფh5, კf2, პ ბი g3, h6 (4).

შამათი ექვს სვლაში: 1. მf3 კe1 2. მ : e1 მფh4 3. h3 მფh5 4. მფf6 მფh4 5. მფg6 h5 6. მf3×.



გემით ნახევრად უდაბნოში

დონისა და ვოლგას ერთმანეთთან არხით შეერთებაზე ჯერ კიდევ პეტრე პირველი ოცნებობდა. მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, რუსეთმა ბევრი მეფე გამოიცვალა, მაგრამ სანუკვარი ოცნების შესრულება ვერც ერთმა ვერ შესძლო. მრავალსაუკუნოვანი ოცნება სინამდვილედ მხოლოდ საბჭოთა ქვეყანამ, ჩვენმა ძლევამოსილმა ხალხმა აქცია და მერე რარიგ სწრაფად! ვოლგა-დონის 101 კილომეტრი სიგრძის არხი ოთხ წელიწადში შენდება. ასეთი ტემპებით მუშაობა კაცობრიობას ჯერ არ ახსოვს. სუეცის არხი 22 წლის განმავლობაში გაჰყავდათ, პანამის არხს კი, რომელიც ოთხმოც კილომეტრს არ აღემატება, თითქმის 35 წელიწადს აშენებდნენ.

არხი ვოლგას, სტალინგრადის განაპირა რაიონში კრასნოარმეისკში უერთდება, დონს კი—ქალაქ კალაჩთან. ამ ადგილას დონი ვოლგაზე ორმოცი მეტრით მაღლაა, არხის შუა წელი კი ვოლგის დონეს ოთხმოცი მეტრით აღემატება. იმისათვის, რომ გემებმა ეს „აღმართი“ გაცურონ, არხზე 15 რაბი და რამდენიმე დიდი წყალსაცავია აშენებული. მსოფლიოში უდიდესი წყალსაქაჩები დონის წყალს ამ „აღმართზე“ ამოიტანენ.

... კრასნოარმეისკში გემში ვსხდებით. ნავსადგურის ფართო მოედანს დიდი სტალინის მონუმენტი დაჰყურებს. მისი გრანდიოზულობა თვალს ატყვევებს. გრანიტის მასიურ კვარცხლბეკზე სპილენძის ოცდაორმეტრიანი სკულპტურა აღმართულა. იგი ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდი მონუმენტია. გემი დონისკენ მიემართება. აი, რაბი № 1. გავდივართ გრანდიოზული ტრიუმფალური თაღის ქვეშ, მისი სიმაღლე 12 სართულიან სახლს უდრის. ყოველი რაბი ძვირფასი ბარელიეფებითა და ქანდაკებებითაა შემკული. გულს სიხარული ემატება, როცა საქართველოს მარმარილოთი მოპირკეთებულ სვეტებს ან სხვა რაიმე ნაგებობებს ვხვდებით. ზღაპრულად გალამაზებულა ერთ დროს ნახევრად უდაბნოდ ქცეული აქაურობა. არხს ორივე მხარეს მოშრიალე ხეთა სამ-სამი მწკრივი და მარად მწვანე დეკორაციულ ნარგავთა კედლები ჩაჰყვება. არხის გასწვრივ დადგმული უამრავი ქანდაკება და ახალი სოფლები გარემოს ეშხსა და სილამაზეს მატებს. გავიარეთ ციმლიანსკაიას ზღვა. დონით ჯერ აზოვის, მერე შავ ზღვაში შევედით და სტალინგრადიდან 1620 კილომეტრის გამოვლის შემდეგ ბათუმში ჩამოვედით...

ასეთი მგზავრობა როდია მიუწვდომელი ოცნება — მგზავრობა ვოლგა-დონის არხზე ორიოდე თვეში დაიწყება.

* * *

ახლა კი არხის ტრასაზე მუშაობა ერთი წამითაც არ წყდება. მუშაობენ დღით, მუშაობენ ღამითაც. ზღაპრული სანახავია უთვალავი ელნათურითა და პროჟექტორებით გაჩირაღდნებულ მიდამოში მოფუსფუსე მშენებლები, მოგუგუნე მექანიზმები. ათეული ათასობით საბჭოთა ადამიანი დაუღალავად მუშაობს. მათ შორის არიან ქართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალისტები, ინჟინრები, მექანიზატორები, კალატოზები, მშენებლები...

გ. შერაზადაშვილმა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი გასულ წელს დაამთავრა. ახალგაზრდა ინჟინერს ნატვრა აუსრულდა: იგი ვოლგა-დონზე გაგზავნეს.

— ვოლგა-დონის მშენებლები, — გვიამბობს სკრეპერის უფროსი დ. ფირაშვილი, —დიდ მადლობას ვუძღვნით ამხანაგ სტალინს, ჩვენს სამშობლოს, ასეთი შესანიშნავი ტექნიკით ჩვენი შეიარაღებისათვის. აქ ისეთ მანქანებსა და მექანიზმებს ვხმარობთ, როგორიც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში არ მოიძებნება.

მართლაც, ვოლგა-დონის მშენებლობა საბჭოთა ტექნიკის ნამდვილი გამოფენაა. რა სახის მექანიზმს არ ნახავთ აქ!

მთელი არხი ექსკავატორების ამოთხრილია. ეს შესანიშნავი მექანიზმი ნაირ-ნაირია. ამათში ყველაზე საინტერესოა მოსიარულე ექსკავატორი. მას „ფეხები“ აქვს— ლითონის ორი სწორკუთხოვანი დირე. გადაადგამს ამ „ფეხებს“, გადაიტანს წინ თავის უზარმაზარ ტანს და დადგამს „მუცელზე“, კიდევ გადააბიჯებს რკინის „ფეხებს“, ისევ გადაიტანს ტანს და ასე შემდეგ.

ამ ზღაპრულად მოსიარულე გოლიათმა ექსკავატორმა მშენებლებს დიდი დახმარება გაუწია. მაგალითად, უდიდესი მოსიარულე ექსკავატორი „ЭШ —14/65“, რომლის ეკიპაჟიც თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანას ეჯიბრება, ციცხვის ერთი მოსმით 14 კუბმეტრ მიწას იღებს, დღეში 13 ათას კუბმეტრ მიწის სამუშაოს ასრულებს, ე. ი. 7000 მუშახელს ცვლის. ამ ექსკავატორს მხოლოდ 17 კაცი ემსახურება.

მიწისმთხრელი მექანიზმების გარდა, ვოლგა-დონზე მიწისმწოველიც მუშაობს. იგი წყალში ბორანივით დგას, ძლიერი ბურღით მიწას აფხვიერებს და მას წყალთან ერთად იწოვს, ყველაფერ ამას კი გრძელი მილებით საჭირო ადგილზე ღვრის. ზოგიერთი მოწინავე ეკიპაჟი 8 საათის განმავლობაში არხიდან 1000 კუბმეტრამდე მიწას იღებს.

ახლა ყველანაირი მიწის სამუშაო თითქმის დამთავრებულია და ბეტონის ჩაწყობა და არხის მოპირკეთებაღა მიმდინარეობს. ამ უკანასკნელ სამუშაოს თოთხმეტიცხვიანი ექსკავატორები ასრულებს. ეს უცნაური მანქანა არხის ფერდობებს ისე სუფთად და ლამაზად ასწორებს, გეგონებათ ადამიანს ხელით გულმოდგინედ მოუსწორებიაო.

მშენებლების განკარგულებაში მუშაობის დაწყების პირველი დღეებიდანვე მრავლად იყო უძლიერესი პორტალური ამწეები, სხვადასხვა სახის სკრეპერები, გიგანტი თვითმცლელები, თვითმტვირთავები, ბულდოზერები...

ახლა, როცა დონის წყალი უკვე „აღმართს“ შეუდგა და არხში შევიდა, მთელი ეს ტექნიკა—მანქანები, მექანიზმები—თურქმენეთის მთავარი არხისა და სხვა დიდ მშენებლობებზე გადაიტანეს...

ვოლგა-დონზე კი ბრილმა ნიავმა არხის გასწვრივ დარგული ნორჩი მცენარეები შეარხია. აქამდე გვალვისაგან დახეთქილ სტეპებს წყალმა სიცოცხლე მოუტანა. მაისში ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნას იზეიმებს ბედნიერი გამარჯვებული საბჭოთა ხალხი.

ამ ზეიმის დღეს გამარჯვებული საბჭოთა ადამიანები დიდ სტალინს კიდევ ერთხელ ეტყვიან მადლობას ბედნიერი აწმყოსათვის და კიდევ უკეთესი მომავლისათვის.

ირაკლი გოცირიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს ორი ბიჭუნა წყლის მოსატანად მიდის. როგორც ხედავთ, თითოეულს სხვადასხვა სიმაღლის მქონე ჭურჭელი მიაქვს. რომელ მათგანს უფრო მეტი წყლის მიტანა შეუძლია დანიშნულ ადგილზე?

ჟურნალ „პიონერის“ № 2-ში მოთავსებული თავსატეხის პასუხი

ნახაზებზე ნაჩვენებია ამ თავსატეხის ორი შესაძლებელი გადაწყვეტა.





შინაარსი

	გვ.
ს. სხირტლაძე — ნიკოლოზ გოგოლი	1
გ. სეირანიანი — მეგობრები	7
კ. კალაძე — სამგორელთა გამარჯვება	10
რ. ქორქია — კომუნარი ქალები	11
ი. სოტნიკი — პატარა ნიანგი	13
ქ. კორაშვილი — შუქურა გადაარჩინეს	19
გ. კაკახიძე — მერცხლები	21
ი. მესხიშვილი — რაზმეულში მჩქეფარე საქმიანობაა	22
დ. გაჩეჩილაძე — მზვერავი კიმ ენ ვანი	24
ი. გოცირიძე — გემით ნახევრად უდაბნოში	30
ჩვენი კალენდარი	გარეკანის მე-3

გარეკანის პირველი და მეოთხე გვერდების მხატვრობა შესრულებულია მხატვარ ალ. ვეფხვაძის მიერ.

რედაქტორი რ. მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: ე. აბლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, გ. თავზიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია.
სამსაცალო რედაქტორი გ. ფოცხიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

უე 02345 ტირაჟი 15.200 გამომცემლობის შეკვ. № 110 სტამბის შეკვ. № 266

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14
ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კალენდარი

ნიკო ლომოური

„ქაჯანა“ და „ალი“, „ბედ-უბედურთა“ და „ყოველის მხრიდან“, „ქრისტიანი ლეკები“ და „პაწია მეგობრები“ მეცხრამეტე საუკუნის ქართული მხატვრული კლასიკური ლიტერატურის საგანძურშია შესული. ავტორი ამ მოთხრობებისა ნიკო ლომოურია — ქართველ ხალხისან მწერალთა ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი. ცხოვრების ღრმა ცოდნა, სოციალური უკულმართობით დაბეჩავებული გლეხობის მთელი შინაგანი სამყაროს მაღალმხატვრული ასახვა, ფაქიზი, ნამდვილად ნათესაობრივი სიყვარული სოფლის მშრომელებისადმი, ადამიანის პიროვნების თავისუფლებისადმი მისწრაფება,—აი, რით ხასიათდება ნ. ლომოური თავის მხატვრულ შემოქმედებაში.

მაგრამ ისე, როგორც სხვა ხალხისანმა მწერლებმა, ვერც ნ. ლომოურმა შესძლო ეჩვენებინა მშრომელი გლეხობისათვის განმათავისუფლებელი ბრძოლის სწორი გზა. ნ. ლომოურმა ხალხისნის პროგრამა ჩამოაყალიბა მოთხრობა „გიგო ღრუბელაშვილში“. წიგნი,—აი, გიგო ღრუბელაშვილის აზრით, რას შეუძლია ბედნიერების მოტანა. მაგრამ ცხადია, მარტო წიგნით შეუძლებელი იყო გლეხკაცობის განთავისუფლება წოდებრივი უთანასწორობისაგან. ამიტომაც არ უჯერიან განაწამები გლეხები ღრუბელაშვილს, ამიტომაც არ გაჰყვა გლეხობა ხალხსნებს.

ნიკო ლომოური თავის მოთხრობებში მოლომდე ოპტიმისტი რჩება, მას სწამს მომავალი, სჯერა, რომ წყვდიადს ნათელი შესცვლის, ტანჯვას—ბედნიერება.

საუკეთესო მოთხრობებში — „ქაჯანა“ და „ალი“ ნ. ლომოური შთააგონებდა ნორჩ თაობას, რომ ცრუმორწმუნეობის, უკულტურობის, გაუნათლებლობის მოსახპობად, რაც ესოდენ აბეჩავებდა ისედაც დაჩაგრულ გლეხკაცობას, — საჭიროა სწავლა, ცოდნა, მეცნიერების დაუფლება.

ასი წელი შესრულდა ჩვენი საყვარელი მწერლის დაბადებიდან. ნ. ლომოურის ბიოგრაფია იმის ნათელი სურათია, თუ როგორ გატაცებით სწავლობდა იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ როგორ ემსახურებოდა იგი საქმითა და მხატვრული სიტყვით ქართული კულტურის აყვავებას, ხალხს.

ი. დავითაშვილი

ახლახან წიგნის ბაზარზე გამოვიდა იოსებ დავითაშვილის ნაწარმოებთა სრული კრებული, გამოცემული „საბჭოთა მწერლის“ მიერ, სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

ი. დავითაშვილი იყო მშრომელი ხალხის გულის მესაიდუმლე გლეხი-მგოსანი, გამოსული ხალხის წრიდან. მისი წინაპრები საბატონო ყმები იყვნენ, რომელთაც ისე ჰყიდნენ და გაასაჩუქრებდნენ ხოლმე, როგორც პირუტყვს. ერთი ასეთი, ბატონისაგან გაყიდული, ყმის სვიმონ დავითაშვილის ოჯახში, 1850 წლის 1 ივლისს, სოფ. გარდატენში (გორის მაზრა) დაიბადა მომავალი პოეტი. პატარა იოსებიც კი ყოფილა ერთხელ გაყიდული — უფროსმა ძმამ გიგომ თავის ბატონს გადასახადის ანგარიშში მისცა იგი, ფული რომ არა ჰქონდა, მაგრამ მალე ისევ გამოისყიდა.

ტანჯვითა და ვაებით გაატარა პოეტმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე და 1887 წლის 27 მარტს გარდაიცვალა 5 დღის ავადმყოფობის შემდეგ, ტანჯული ცხოვრებისაგან ჯანგატეხილი და დასუსტებული. ქართველმა ხალხმა დაიტირა იგი. მრავალ ადგილას მოეწყო პანაშვიდი. ერთ-ერთ ასეთ ხალხმრავალ პანაშვიდზე, თბილისში, სიტყვა წარმოსთქვეს ილიამ და აკაკიმ, რომელთაც ქება-დიდება შეასხეს ღარიბების მომღერალსა და მექომაგე პოეტს. ილიამ თავისი გაზეთის — „ივერიის“ სპეციალური ნომერიც კი მიუძღვნა ი. დავითაშვილს და მეთაური წერილიც დაწერა საყვარელი მგოსნის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ი. დავითაშვილს სკოლაში არც კი უვლია. მხოლოდ თვითგანვითარებითა და წიგნების კითხვით გაიკვლია გზა პოეზიისაკენ და უკვდავყო თავისი სახელი ქართულ ლიტერატურაში. უმუშევრობა, უსახსრობა, შიმშილი, მარტოობა მუდმივი თანამგზავრი იყო მგოსნისა.

მხოლოდ ლექსებში, პოეზიაში, შემოქმედებაში ჰპოვებდა ტანჯული პოეტი შვებას. მის ლექსებს ხალხი მღეროდა, ზეპირებდა. მი-

სი პირველი წიგნი „მესტვირე“, რომელიც 1880 წელს გამოვიდა, აღფრთოვანებით მიიღო მკითხველმა.

მე გულსა მწვავს ეს სოფელი
ორნაირად გაყოფილი,
ბედით ჩაგრულს უკეთოთ
სტანჯავს
თავის ბედით კმაყოფილი.

აი ი. დავითაშვილის შემოქმედების მთავარი გასაღები.

პოეტმა ორასამდე ლექსი დაგვიტოვა. მისი ცნობილი სტრიქონები ლექსიდან „ჯეჯილი“:

—„იზარდე მწვანე ჯეჯილო.
დაპურდი, გაბდი ყანაო“, —

დევიზად ჰქონდა წამძღვარებული რევოლუციამდელ სბაბავშვო ჟურნალ „ჯეჯილს“. ეს ჯეჯილი, ეს ნორჩი თაობა, დღეს საბჭოთა საქართველოში, ლაღად იზრდება, ხარობს და ბედნიერია.

272/464

თაიგულით კლასში აღმზრდელს
შეეგებნენ მალხაზები
და რვა მარტი მიულოცეს
სიყვარულით, აღტაცებით.

ფრთა შეასხა მასწავლებელს
ამ შეხვედრამ, მარტის დილამ
და მადლობის წმინდა გრძნობით
გაუცინა ბავშვებს ტკბილად.